კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

ანა გელაშვილი

ყურის ქვეყნების გავლენა საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : მაია კაპანაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2021

ანოტაცია

საუდის არაბეთი, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის , ასევე ყურის ქვეყნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა. საუდის არაბეთი ცდილობს ყურის ქვეყნებში ლიდერის როლი შეასრულოს, თავის მხრივ ყურის ქვეყნები არამარტო ცდილობენ, არამედ ახერხებენ კიდეც გავლენა მოახდინონ საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაზე არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, არამედ რეგიონს გარეთაც. ხშირად საუდის არაბეთი ცდილბს ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ვექტორი შეცვალოს თავის სასარგებლოდ და ასევე გარკვეული ცვლილებები შეიტანოს მათ დამოკიდებულებაში , როგორც საკუთრივ საუდის არაბეთთან ისე ერთმანეთთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა ყურის გარკვეული ქვეყნები ცდილობენ საუდის არაბეთისგან დამოუკიდებლად იმოქმედონ და არ მოექცნენ მისი გავლენის ქვეშ (კატარი, ქუვეითი) და დამოუკიდებლად დაგეგმონ თავიანთი საგარეო პოლიტიკა.

ყურის ქვეყნების დიდი მცდელობა ხშირ შემთხვევაში მათთვის შედეგიანად მთავრდება. ხშირ შემთხვევებში ისინი თვითონვე ახდენენ გარკვეულ გავლენას საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკურ კურსზე. ეს უკანასკნელი სხვადასხვა მეთოდებთან ერთად ყურის ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად ცდილობს გამოიყენოს „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო“ რის მეშვეობითაც ხშირად აღწევს შედეგს, იმავე ორგანიზაციას იყენებენ ასევე ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენა

Annotation

The influence og the Gulf countries on the foreign policy of Saudi Arabia

Saudi Arabia is one of the most important countries in the Middle East and in the Gulf countries. Saudi Arabia is trying to play the role of leader in the region. At the same time the Gulf countries are affected on the foreign policy of Saudi Arabia inside the region as well as beyond its borders. Saudi Arabia is trying to change the foreign policy of the Gulf countries and also to make some changes in their attitude in relation to Saudi Arabia itself and in relation to each other , but some Gulf countries (ex. Qatar, Kuwait) are trying to plan and act their foreign policy independently.

Great effort by the Gulf countries often ends well for them. They themselves have some influece on the foreign policy of Saudi Arabia. Most of time Saudi Arabia is trying to use "Gulf Cooperation Counsil" to achive their own goals and the same organizationis also used by Gulf countries to influence on Saudi Arabia.

Anna Gelashvili

სარჩევი

ანოტაცია.....2

Annotation.....3

შესავალი……5

თავი I საუდის არაბეთის შექმნის ისტორია

1.1 საუდის არაბეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება.....12

1.2 ისლამის გავლენა ქვეყნის ცენტრალიზაციასა და მის რეგიონულ პოლიტიკაზე..16

1.3 საუდის არაბეთის სახელმწიფო წყობილება და გამოწვევები ქვეყნის წინაშე.....19

თავი II სპარსეთის ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში

2.1 საუდის არაბეთის ჩართულობა რეგიონის პოლიტიკაში.....25

2.2 საუდის არაბეთი და ტერორიზმი.....34

თავი III საუდის არაბეთის როლი ყურის ქვეყნების უსაფრთხოებაში

3.1 ყურის ქვეყნების ომები და საუდის არაბეთის პოზიცია.....39

3.2 საუდის არაბეთი და ყურის თანამშრომლობის საბჭოს უსაფრთხოების პოლიტიკა.....47

3.3 წინააღმდეგობა საუდის არაბეთს, ირანს, ყატარს შორის და ყურის სხვა ქვეყნების დამოკიდებულება.....50

დასკვნა……..……56

გამოყენებული ლიტერატურა……..……61

შესავალი

თემის აქტულობა - უსაფრთხოების ცნება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში კომპლექსურია და მისი დაცვის მეთოდები ყოველდღიურად ვითარდება და იცვლება , როგორც ვითარდება და იცვლება საფრთხეები. ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება დღითიდღე იზრდება , რაც იწვევს კიდეც ქვეყნებში უსაფრთხოების განცდის დეფიციტს, ამიტომ თითოეულ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და ცვლილებები ასახვას ჰპოვებს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე,განსაკუთრებით ისეთი რეგიონი , როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი , ცვლის გეოპოლიტიკურ გარემოს მსოფლიოში. შესაბამისად არსებულ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია საერთაშორისო უსაფრთხოების მისაღწევად. სწორედ ამიტომ საუდის არაბეთი არამარტო ახლო აღმოსავლეთის , არამედ ყურის ერთ-ერთ დიდ და მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია გარკვეული პოლიტიკური ამბიციები და ბერკეტები რეგიონში ლიდერობისათვის,რაშიც მას კონკურენციას უწევს სამხედრო თვალსაზრისით მასზე უფრო ძლიერი ქვეყნები,თუმცა საუდის არაბეთი თავისი პროამერიკული კურსის შენარჩუნებითა და მის ხელთ არსებული გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენებით ზრდის საკუთარ გავლენას მსოფლიო გეოპოლიტიკურ კონფიგურაციაზე , რადგან „ოქროს“ გადაქცევა ტანკად ყოველთვის შესაძლებელია , როდესაც ტანკის ოქროდ გადაქცევა გაცილებით უფრო რთული და და საეჭვოც არის.

თემის მიზნები და ამოცანები

საკვლევი თემის **მიზანს** წარმოადგენს საუდის არაბეთის ინტერესების შესწავლა ყურის ქვეყნების რეგიონში ,მისი საგარეო-პოლიტიკური მიმართულებებისა და პრიორიტეტების განხილვა, რომელიც მას საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილოს

საკუთარი პოლიტიკური ამბიციები და შეასრულოს საყრდენი როლი ყურის რეგიონულ უსაფრთხოებაში.

საკვლევი თემის **ამოცანაა**- გამომეტანა სწორი დასკვნები , თუ რა გარემოებები უწყობს ხელს საუდის არაბეთის ლიდერობის მიღწევას ყურეში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რადგანაც ყურის ქვეყნები ახლო აღმოსავლეთის რგიონის შემადგენლობაშა. ასევე რამდენად მომგებიანი იქნება საუდის არაბეთისთვის არსებული პოლიტიკური კურსის შენარჩუნება.

საკვლევი კითხვები:

-რა განაპირობებს საუდის არაბეთის პოლიტიკას „ყურის ქვეყნებთან"?

-რა ადგილი უკავია საუდის არაბეთს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

- რა როლს ასრულებს ისლამი საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკასა, კერძოდ კი ყურის ქვეყნებთან ურთიერთობაზე?

თემის ჰიპოთეზა : - საუდის არაბეთი წარმოადგენს იმ ისლამურ ქვეყანას, რომლის პოლიტიკური ამბიციები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ლიდერობაზე გადის. აქ არის განლაგებული ისლამის უმთავრესი რელიგიური სიწმინდეები. თუმცა დაპირისპირებები ისლამურ მიმდინარეობებში (სუნიტებსა და შიიტებს შორის) მკვეთრ გავლენას ახდენს საუდის არაბეთის რეგიონულ პოლიტიკაზე ყურის ქვეყნებთან მიმართებაში.

საუდის არაბეთს შეუძლია ეფექტურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაცია და კონკურენცია გაუწიოს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მასზე წინ მყოფ სახელმწიფოებს ყურის რეგიონში და ამავე დროს შეეცადოს

გარკვეული სამხედრო -პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

კვლევის საგანი - შესწავლა და გაანალიზება საუდის არაბეთის პოლიტიკის იმ გამოწვევების , რომელიც უკავშირდება ყურის ქვეყნებთან ურთიერთობებს და რომლებიც გავლენას ახდენენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ უსაფრთხოებაზე. ასევე განსაზღვრა ისლამის ძირიითადი მიმდინარეობების სუნიზმისა და შიიზმის გავლენა ყურის ქვეყნების პოლიტიკაზე და ტერორიზმის საფრთხე.

კვლევის ობიექტი - საუდის არაბეთის მიერ გატარებული პოლიტიკა, ყურის თანამშრომლობის საბჭოს მნიშვნელობა და რეგიონული უსაფრთხოება.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია :

- **„პოლიტიკური რეალიზმი“** და „ **ძალთა წონასწორობის“** კონცეფცია , რომელიც გამომდინარეობს საერთაშრისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

-მაგრამ ანარქიულ სისტემაში გარკვეული წესრიგის დამყარებას მივყავართ **„ნეორეალიზმამდე“** სადაც სახელმწიფოებს თვითგადარჩენის მოტივი ამოძრავებთ , ხოლო ანარქიულობა განაპირობებს მათი მხრიდან საკუთარი ძალისხმევის ნაწილის მიმართვას არა საკუთარი კეთილდღეობისკენ ,არამედ სხვებისგან თავდასაცავად.

თუმცა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა დროებითია და ძირითად შემთხვევაში არამყარი ,ამიტომ რეგიონში მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც განსხვავებული იდეოლოგიისა ქვეყნები ერთიანდებიან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად , რომელსაც მივყავართ სწორედ რომ „ **ალიანსური უსაფრთხოების პოლიტიკამდე“**.- სახელმწიფოების თანამშრომლობა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად.

მაგრამ ვინაიდან ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გამოირჩევა სპეციფიკურობით- და დიდია ისლამის როლი რეგიონის ქვეყნების პოლიტიკაში მივდივართ სემუელ ჰანტიგტონის თეორიამდე

-„ცივილიზაციათა შეჯახება“ -სადაც დასავლურ ცივილიზაცას აქვს უნივერსალურობის პრეტენზია და იბრძვის თავისი ფასეულობების მსოფლიოში დამკვიდრებისთვის ყველაზე მეტად კი ისლამური ცივილიზაცია ეწინააღმდეგება მას ,რაც ისლამურ ფუნდამენტალიზმში გამოიხატება.

კვლევის მეთოდები :

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან- გამოყენებული იქნა კონტენტ- ანალიზი. თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან კი - ისტორიულ -აღწერილობითი მეთოდი, ხოლო არსებული გამოცდილებისა და ისტორიული მაგალოთების განსახილველად CASE STUDY.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩემს მერ მოპოვებული სამეცნიერო მასალების საფუძველზე, შევძელი შემექმნა ისეთი ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტო ნაშრომისათვის საჭირო მოთხოვნებს. ვფიქობ აღნიშნული ნაშრომი მომავალში გამოადგებათ არამხოლოდ საუდის არაბეთის პოლიტიკისადმი დაინტერესებულთ , არამედ ზოგადად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისადმი დაინტერესებულბსაც მკველავერებსაც. სავარაუდოდ აღნიშნული ნაშრომი შესაძლოა გამოყენებული იქნას ბაკალავრიატის , მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებში.

კვლევის შედეგების განხილვა- მოპოვებული მასალების გაანალიზების შედეგად შევეცადე სწორი დასკვნები გამომეტანა იმის შესახებ თუ რა საშუალებებით შეუძლია საუდის არაბეთს რეგიონის უსაფრთხოებაში დიდი წვლილის შეტანა, რა გამოწვევების წინაშეა არა მხოლოდ საუდის არაბეთი და ახლო აღმოსავლეთის რეგიონი , არამედ მთლიანად სართაშორისო საზოგადოება და რამდენად მოწყვლადია საერთაშორისო უსაფრთხოება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე ცვლილებების მიმართ. ასევე განაანალიზებული მაქვს ის, თუ რამდენად შეძლებს საუდის არაბეთი ყურის ქვეყნებში ლიდერის პოზიცია დაიკავოს. ამასგარდა ნაშრომში გამოთქმული მაქვს ფრთხილი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ

რა შემაფერხებელი გარემოებები არსებობსსაუდის არაბეთისათვის მისი ლიდერობისაკენ მისწრაფებაში.

- **სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა :** ნაშრომზე მუშაობისას ჩემს მიერ გამოყენებული იქნა , როგორც ქართული , ისე უცხოურ ენაზე არსებული სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა გაცნობისა და გაანალიზების შედეგად შესაძლებელი გახდა ჩემს ნაშრომში ძირითადი დასმული საკითხების უკეთ წამოწევა. საუდის არაბეთსა და მთლიანობაში ყურის ქვეყნებზე არსებული სამეცნიერო ნაშრომები ქართულ ენაზე სამწუხაროდ მწირე. ახლა მიმოვიხილავ იმ ქართულ სამეცნიერი ნაშრომებს ,რომლითაც ვიხელმძღვანელე. დავიწყებ ცნობილი ქართველი აღმოსავლეთ მცოდნის
- რევაზ გაჩეჩილაძის ნაშრომი ახლო -აღმოსავლეთი ,რომელი ორ ტომად გამოიცა 2018-2019 წლებში. ჩემს თემაზე მუშაობისას ძირითადად ვიღემძღვანელე მეორე ტომით, ამ წიგნში საკმაოდ კარგადაა განხილული საუდის არაბეთისა და ყურის ქვეყნების ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტები. ყურადღება გამახვილებულია ბოლო პერიოდზე.
- ასევე ნაშრომზე მუშაობისას ვიხელმძღვანელე სამი ქართველი აღმოსავლეთ მცოდნის : გ.სანიკიძის, გ.ალასანიასა სა ნ.გელოვანის ერთობლივი წიგნით „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან.თბლ.2011“. მასში საკმაოდ ვრცლადაა განხილული საუდის არაბეთისა და ყურს ქვეყნების განვითარებისა და სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ეტაპები XIX ს. დან არაბულ გაზაფხულამდე.

- ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ცნობილი ქართველი აღმოსავლეთ მცოდნის ნანი გელოვანის მონოგრაფიამ „თანამედროვე არაბულ ქვეყნები“. აღნიშნული მონოგრაფია ეძღვნება ყველა არაბულ ქვეყანასდა საკმაოდ კარგ

ინფორმაციას ვიღებთ ყურის არაბული ქვეყნების შესახებ, რომლეიც იწყება უძველესი დროიდან არაბულ გაზაფხულამდე.

- ამის გარდა ვიხელმძღვანელე ქართულ ენაზე არსებული სტატიებითაც, რომლებიც ცალკეული საკითხების გაშუქებაში საკმაოდ დამეხმარა. ესენია : პოლიტო-ლოგოსში არსებული სტატიები: დაპირისპირება „საუდის არაბეთსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში“ მ. კაპანაძის, „იემენი:სამოქალაქო ომი შორს მიმავალი შედეგებით“ -გ.რობაქიძის. „ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნების პოზიცია ისრაელ-ბაჰრეინისა და გას-ისრაელთან მიმართებაში“- შ.სიგუა,ლ.ნიკოლეიშვილი.
- რადგან ჩემი თემის საკვლევი ქვეყანა საუდის არაბეთი ისლამის სიწმინდეების ძირითადი მფლობელია და რელიგიური ფაქტორებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ყურის ქვეყნებთან მიმართებაში,აქედან გამომდინარე ისლამის გარკვეული მიმდინარეობების შესახებ ვირელმძღვანელეთ ისლამის ენციკლოპედიური ცნობარიდან.
- უცხოური სამეცნიერო ნაშრომებიდან ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა ამხრივ გაკეთებული აქვს J.E. Peterson “Saudi Arabia and the Illusion of Security”. 2002. ამ ნაშრომში საკმაოდ საინტერესოდაა სხვადასხვა მასალებზე დაყრნობით გაშუქებული საუდის არაბეთის უსაფრთხოების პრობლემები რეგიონული თვალსაზრისით.

- Thomas Hegghammer თავის ნაშრომში “Jihad in Saudi Arabia” Cambridge University Press 2010. შესწავლილი და განხილული აქვს ისეთი პრობლემური საკითხი, როგორც საუდის არაბეთში, ისე მსოფლიოში ჯიჰადი. ამ ნაშრომში ყურადღება გახვილებულია 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი და მის შემდგომ განვითარებული ცვლილებები საუდის არაბეთში.

- GRAIG UNGER ის წიგნი “HOUSE OF BUSH, HOUSE OF SAUDI” the hidden relationship between the world’s two most powerful dynasties.2004. განხილულია საუდის საგარეო პოლიტიკა და ყურადღება გამახვილბულია ტერორიზმზე და იმ ტერორისტბზე, რომლებიც წარმოშობით საუდის არაბეთიდან იყვნენ.
- Владимир Юрченко „Саудовская Аравия: проблемы противодействия терроризму и исламскому экстремизму -სამეცნიერო სტატია ეხება ისეთ საინტერესო საკითხებს როგორიცაა ფუნდამენტალიზმი და ტერორიზმი. ნაშრომში განხულილია 11 სექტემბრის ტერაქტი და ტერორისტები ,რომლებიც მონაწილეობდნენ მასში.

თავი I

საუდის არაბეთის შექმნის ისტორია

1.1 საუდის არაბეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება

საუდის არაბეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაკავშირებულია საუდიანთა დინასტიის მიერ წარმოებულ ხანგრძლივ ომებთან რომლის დაყოფა შესაძლებელია სამ ეტაპად. (1747-1818, 1822-1892, 1901-1932 წწ).[1]

საბოლოოდ XX საუკუნის დასაწყისში ახალგაზრდა ამირა აზიზ ბინ საუდი შეეცადა სხვადასხვა მიწების გაერთიანებით აღედგინა არაბეთის ნახევარკუნძულზე ადრე არსებული საუდიანთა სახელმწიფო , რომლისთვისაც ბრძოლა 1902 წელს დაიწყო ქალაქ არ-რიადის დაპყრობით. ხოლო მთელი ცენტრალური ნეჯდისა და არაბეთის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდგომ 1926 წელს თავი ჰიჯაზის მეფედ გამოაცხადა.

1932 წლის 18 სექტემბერს კი გამოსცა დეკრეტი - „არაბული სამეფოს ნაწილების გაერთიანების შესახებ.[2] აქედან იწყება საუდის არაბეთის სახელმწიფოს ისტორია , რომლის არსებობა თავდაპირველად უამრავ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული , რომლებმაც ერთგავარად ხელი შეუწყო დაეჩქარებინა ქვეყნის განვითარების პროცესი და ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაქცეულიყო ანგარიშგასაწევ ქვეყნად საკუთარი არაბული სახელმწიფო მოდელის შექმნით.

საუდის არაბეთის განვითარების პერიოდი შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ეტაპად . პირველი ეტაპი : 1920-1930 წლები- სხვადასხვა მიწების ძალისმიერი მეთოდებით გაერთიანება, რომელიც ეფუძნებოდა ადრეულ სახელმწიფოებრივ

[1] გელოვანი ნ. „თანამედროვე არაბულ ქვეყნები“ თბილისი, უნივერსალი. 2008 გვ 210
[2] Rasheed M. A History of Saudi Arabia. 2002 Page 39.

მოდელს შარიათის კანონებზე დაყრდნობით. მეორე ეტაპი : დაპირისპირებები სახელმწიფოს სამომავლო განვითარების გზის გარშემო და ქვეყნის ეკნომიკური სტაბილურობის მიღწევა ნავთობის მეშვეობით (1940-1950 წლები). მესამე ეტაპი : 1960 -1990 წლებში მიმდინარე მოვლენები ,რომელიც დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ გატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებთან, ხოლო რაც შეეხება საბოლოო ეტაპს ის უკვე მოიცავს 90 იანი წლების მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის დასაწყის არსებული არაბული სახელმწიფო მოდელის შექმნას. [3]

თავდაპირველად იბნ საუდის მიერ გატარებული რეფორმები მიზნად ისახავდა ტომობრივი წყობის გაუქმებას . ქვეყნის განვითარება მიმდიანარეობდა საუდიანთა დინასწიის წარმოამადგენლებისა და იხვანების(ბედუინების სამხედრო ძალა) დაპირისპირების ფონზე , რომლებიც გამოირჩეოდნენ რელიგიური ფანატიზმით, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიურ განვითარებას თავიანთ ქვეყანაში და საკუთარი ადათ-წესებისგან გადახვევას. არსებული წინააღმდეგობების დასაძლევად კი იბნ საუდს უწევდა როგორც ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ,ასევე გარკვეულ დათმობებზე წასვლაც. 1927 წელს მის მიერ ჩატარებული სასამართლო რეფორმით სამართალწარმოება შარიათის კანონებს დაეყრდნო. დასავლური მრჩეველების დახმარებით კი 1932 წელს მოიწვია პოლიტიკური კომიტეტი ,რომელიც განიხილავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ,თუმცა საბჭო გახლდათ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის და არ გააჩნდა აღმასრულებელი ძალაუფლება. იბნ საუდის მიერ გატარებული რეფორმები ძირითად შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ის ცდილობდა ქვეყნის მოდერნიზაციას ამავე დროს ახდენდა მონათვაჭრობის ლეგალიზაციასაც.

საუდის არაბეთში ნავთობის აღმოჩენამ დააჩქარა ურთიერთობების გაღვივება დასავლურ კაპიტალსა და საუდის არაბეთის საზოგადოებას შორის, თუმცა

[3] გ.სანიკიძე, გ.ალასანია, ნ. გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია (XIX-XXI სს) თბილისი 2011 გვ 408

ცხოვრების დონე კვლავ დაბალი რჩებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ტახტზე ავიდა საუდ ბინ აბდულ აზიზ ალ საუდი , რომელმაც ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა და საზოგადოებრივი უკამყოფილების დასაძლევად იძულებული იქნა პრემიერ-მინისტრად ამირა ფაისალი დაენიშნა , რომლის ხელშიც ფაქტობრივად გადავიდა ქვეყნის მართვა და მის მიერ მიღებული იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთავაზებული ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევის პროგრამა 1958-1960 წლებში. მან შეძლო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა , მოახდინა უცხოური კაპიტალის შეზღუდვა ვაჭრობაში,გაატარა სავალუტო რეფორმა , შეძლო უმსხვილესი პორტის ჯიდდას ნაციონალიზაცია თუმცა მისი რეფორმების წინააღმდეგები აღმოჩნდნენ რადიკალები , ფაისალი გადაყენებული იქნა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რომ საუდს არ შეეძლო დამოუკიდებლად ქვეყნის ხელმძღვანელობა , საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მან ხელისუფლებაში მოიწვია ლიბერალები (ამირა ტალილის ხელმძღვანელობით) რომელთა წინადადება განეხილათ ქვეყნის კონსტიტუციური მმართველობა გააოცა რეფორმატორები და დააშინა კონსერვატორები . რამაც გამოიწვია საუდის არაბეთის უმაღლესი მუფთისა და რწმენის მორალის დაცვის ლიგის მეთაურის მოთხოვნა , რომ ნებისმიერი სამომავლო კანონპროექტი თანხვედრაში ყოფილიყო შარიათის კანონებთან რასაც პასუხად მოჰყვა მეფის მიერ გამოცემული დეკრეტი სიკვდილის დასჯის შესახებ და სამუდამო პატიმრობა სამეფო ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებისთვის, რის გამოც მოხდა პოსტიდან დათხოვნილი ამირა ტალილის მიერ ბრძოლის დაწყება საუდის რეჟიმის წინააღმდეგ. ოპოზიციური ტალღის აგორებამ კი საუდი აიძულა 1962 წელს ფაისალი კვლავ დაენიშნა პრემიერ -მინისტრად , რომელმაც გამოსცა „10 პუნქტი“[4], სადაც ფაისალი იძულებული იქნა გაეთვალისწინებინა ულუმთა ინტერესები და პროგრამაში ხაზგასმული იქნა , რომ

[4] სანიკიძე გ. , გ.ალასანია ნ. გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია (თანამედროვე არაბული ქვეყნები თბილისი გვ 412-414).

ხელისუფლება იღებდა ვალდებულებას გაევრცელებინა ისლამი სიტყვით და საქმით და მათ მიერ მიღებული კანონები თანხვედრაში ყოფილიყო შარიათთან. თუმცა ამავე დროს უნდა ითქვას, რომ არსებული პუნქტები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს , როგორებიც იყო საზოგადოების დახმარება სოციალურ,კულტურულ, განთლების სფეროებში , მონების გათავისუფლება, უმუშევრობის ლიკვიდაცია.[5]

ფორმალურად ფაისალი ტახტზე 1964 წლიდან ავიდა და მისი მმართველობის 10 წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა საუდის არაბეთის განვითარებაში. მან შეძლო ქვეყანაში აქამდე არარსებული ეროვნული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, მიღებული იქნა თანამედროვე შრომის კანონმდებლობა. თუმცა პოლიტიკის სფეროში არაფერი განახორციელა ფაისალმა, ის კონსტიტუციას არ თვლიდა საჭიროდ როდესაც ხალხს გააჩნდა ყურანი, ხოლო პარლამენტს იგი უწოდებდა „ყავარჯენს სუსტი მმართველობისთვის“[6], მეფე იღებდა დამოუკიდებლად ყველა გადაწყვეტილებას
და გაძლიერდა ხელისუფლების აბსოლუტური ხასიათი. ფაისალმა ერთგავრად განსაზღვრა კიდეც საუდის არაბეთში საზოგადოებრივი წყობის მახასიათებლები: სახელმწიფოს ძირითადი როლი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში და ხალხის ერთგულება ტრადიციებისადმი. მიუხედავად იმისა რომ რეფორმებმა შედეგი გამოიღეს და საუდის არაბეთი ერთ -ერთ ძლიერ არაბულ ქვეყანად იქცა , ხელისუფლებაში მოსული აცერთი პირი არ აპირებდა ცვლილებების განხორციელეაბას პოლიტიკურ სფეროში რაც დღემდე შენარჩუნებულია.

1.2 ისლამის გავლენა ქვეყნის ცენტრალიზაციასა და მის რეგიონულ პოლიტიკაზე

[5] გელოვანი ნ. „თანამედროვე არაბული ქვეყნები“ თბილისი 2008 გვ 213-215
[6] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“ ტ II თბილისი 2019 გვ.413

კონფესიური ფაქტორი სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და ხშირად ის კონფლიქტის წყაროც ხდება.

უძველესი დროიდან დღემდე რელიგიური ფაქტორი და მასზე აგებული სახელმწიფოებრივი ურთიერთობები წარმოადგენდა მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავდა არაბული ქვეყნების საშიანო და საგარეო პოლიტიკას.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობა პირდაპირ თუ ირიბად არასეკულარულია, ყველა კონსტიტუციაში იხსენიება ყურანი და შარიათი.

ისლამი ყველა არაბულ სახელმწიფოში სახელმწიფო რელიგიაა.

საუდის არაბეთში ისლამი არა მხოლოდ სახელმწიფო რელიგიაა , არამედ სახელმწიფოს ძირთადი კანონი , რომელიც საზოგადოების ცხოვრების ნებისმიერ სფეროს განსაზღვრავს. რელიგიური და სამოქალაქო სფეროები საუდის არაბეთში მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან განსხვავებით სხვა სპარსეთის ყურის ქვეყნებისგან. მიუხედავად იმისა , რომ სპარსეთის ყურის ყველა ქვეყანაში მოქმედებს შარიათის კანონები, მისი მოქმედების სფეროები ძირითადად ვრცელდება კერძო და საოჯახო სამართალში. შარიათის მოქმედება განსაკუთრებულია მხოლოდ საუდის არაბეთში და ირანის რესპუბლიკაში. [7]

არაბულ მონარქიებში -ხელისუფლება ცდილობს ისლამური მორალისა და რწმენის განმტკიცებას. საუდის არაბეთი ერთადერთი ქვეყანაა , სადაც არსებობს სპეციალური ცენტრები , რომელთა მიზანია უცხოელები მოაქციონ ისლამზე.

ისლამი გახლავთ სახელმწიფო მმართველობის სისტემის საფუძველი. სახელმწიფო პოსტის დასაკავებლად მთავარი პირობაა ისლამის აღმსარებლობა.

სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრ - სახელმწიფოებს კონსტიტუციებში თეზისი „ ისლამური სოლიდარობის“ შესახებ არის მათი საგარეოპოლიტიკური ხაზის ძირითადი პრინციპი. შესაბამისად საუდის

[7] გელოვანი ნ. მსოფლიო რელიგიები და მათი ისტორიული როლი ახლო აღმოსავლეთში გვ 539-545

არაბეთის კონსტიტუციის 25-ე მუხლში „ხელისუფლების სისტემის საფუძვლები“ მითითებულია - „სახელმწიფო განახორციელებს არაბი ხალხის იმედს სოლიდარობისა და ჰარმონიის შესახებ, განამტკიცებს ურთიერთობას მეგობრულ ქვეყნებთან“.[8]

2008 წლის 13 ნომბერს კი ნიუ-იორკში ჩატარებული იქნა რელიგიათაშორისი დიალოგისადმი მიძღვნილი კონგრესი, რომლის ინიციატივა ეკუთვნოდა საუდის არაბეთის იმჟამინდელ მეფე აბდულლაჰ ბინ აბდულ აზიზს. მის მიმართვაში ვკითხულობთ , რომ ტერორიზმი და დანაშაული მიუღებელია ნებისმიერი რელიგიისთვის და „ნიუ-იორკის დეკლარაციის“ მიხედვით საუდის არაბეთმა აიღო ვალდებულება , რომ ხელს შეწყობდა ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავსუფლბების დაცვას, თუმცა აღნიშნულის პრაქტიკაშ გატარება საკმაოდ დიდ სირთულეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული. რადგან საუდის არაბეთში იკრძალება არამუსლიმთა ყოველგავრი რელიგიური აქტივობა და ხშირად ხელისუფლების მიერ გატარებული ქმედებები პირდაპირ ასახავს რელიგიურ სოლიდარობას, როდესაც მუჰამედ ბინ სალმანი ერთვება 2015 წელს იემენის სამოქალაქო ომში შიიტი მეამბოხე ჰუთიტების წინააღმდეგ ,ვინაიდან მათი არგუმენტი ეყრდნობოდა შიიტური ირანის დახმარებას მათ მიმართ. ამავე დროს საუდის არაბეთი მილიონობით დოლარს ხარჯავს ისლამისტური სწავლების გასავრცელებლად , განსაკუთრებით ვაჰაბიტური პრინციპების გავრცელებას, რამაც თვით არაბულ ქვეყნებში შეუშალა ხელი ისლამურ პლურალიზმს და ერთგვარად გამოიწვია კიდეც სხვადასხვა რადიკალური დაჯგუფებების დაფინანსებას ერთმანეთის წინააღმდეგ. [9]

სუნიტებსა და შიიტებს შორის ურთიერდაპირისპირება დიდი საფრთხის წინაშე აყენებს არა მხოლოდ საუდის არაბეთისა სახელმწიფო ერთიანობს , არამედ ყურის რეგიონის უსაფრთხოებასაც.

---

[8] გელოვანი ნ. „თანამედროვე არაბული ქვეყნები“ თბილისი, უნივერსალი 2008 გვ 405-407

[9] რობაქიძე გ. იემენი: სამოქალაქო ომი შორს მიმავალი შედეგები. „ პოლიტო/ლოგოს # 2 თბილისი 2020 გვ77-92

დაპირისპირება სუნიტებსა და შიტებს შორის განაპირობა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ვაჰაბიტების მიერ გატარებულმა დოქტრინებმა. ისინი უმკაცრესად ექცეოდნენ იმ მუსლიმებს, რომლებიც მათ შეხედულებებს არ იზიარებდნენ. ჯერ კიდევ 1927 წელს ულემები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ იბნ საუდი გაეტარებინა რეფორმები შიიტების „ჭეშმარიტ ისლამზე“ მოქცევისთვის.[10], ხოლო მეფე ფაისალის დროს ვაჰაბიტმა ულემებმა გამოსცეს ფათვა(ისლამური სამღვდელოების წარმომადგენლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება) შიიტების მიმართ, რომელიც უკრძალავდა მათ რიტუალების ჩატარებასა და საჯაროდ ლოცვას. აღნიშნულმა ფაქტმა საბოლოოდ გამოიწვია პროტესტის გამოთქმის სურვილი ,რაც გამოიხატა „შიიტური რეფორმების მოძრაობის“ შექმნით 1977 წელს ას-საფარის მიერ. ისინი აკრიტიკებდნენ საუდიანთა დინასტიას და ხელი შეუწყეს პოლიტიკური შიიძმის გაძლიერებას და მათი კავშირის ზრდას ირანთან.[11]

თუმცა უნდა ავღნიშნო ,რომ ეთნოკონფეციური კონფლიქტის მოგვარება უაღრესად მნიშვნელოვანია საუდის არაბეთის პოლიტიკისთვის. საუდის არაბეთის როლი ისლამურ სამყაროში წამყვანია და ამ როლის შესრულებას ხელს სწორედ ქვეყანაშ არსებული რელიგიური ფანატიკოსები უშლიან ხელს , რომლებიც აღვივებენ სიძულვილს შიიტების მიმართ და მიუხედავად იმისა, რომ ულემებისთის იდეოლოგიურად მიუღებლები არიან შიიტი მოსახლეობა მათ მიერ გატარებული მკაცრი ზომები საფრთხეს უქმნიან საუდის არაბეთის სამეფოს ერთიანობას და უსაფრთხოებას. ეთნოკონფენსიური უმტკივნეულოდ გადაჭრა და სწორი მიმართულების მიცემა დამოკიდებულა ქვეყნის ხელისფლებაზე.

[10]სანიკიძე გ. ,გ.ალასანია,ნ.გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მათი ურთ.სამხრეთ კავკასიათან. თბილისი 2011 გვ 533

[11] ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი ,თბილისი 1995 ,გვ 102-110

1.3 საუდის არაბეთის სახელმწიფო წყობილება და გამოწვევები ქვეყნის წინაშე

საუდის არაბეთის სახემწიფოებრივი წყობა ემყარება 1992 წელს მეფე ფაჰდის მიერ გამოცემულ სამთავრობო დოკუმენტს , რომლის მიხედვითაც საუდის არაბეთი არის სამეფო, რომელსაც მართავენ მეფე აბდულაზიზ იბნ საუდის შვილები და შვილიშვილები. ქვეყანა -აბსოლუტური მონარქიაა , რომლის კონსტიტუცია არის წმინდა ყურანი და ქვეყანა იმართება შარიათის კანონებით. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია მეფე, რომელიც ქვეყნის რელიგიური ლიდერიცაა. მონარქის ხელისუფლება თეორიულად შეზღუდულია მხოლოდ შარიათის კანონებით. ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდება მონარქის მიერ ულემთან შეთანხმების შემდეგ. მონარქთან ერთად ფუნქციონირებს მინისტრთა საბჭო, რომელიც 20 წევრისგან შედგება და საკონსულტაციო ასამბლეა მეჯის აშ-შურა (120 წევრისგან შედგება), რომელიც 4 წლის ვადით მტკიცდება მონარქის მიერ და თავისივე სიცოცხლეში ხდება მემკვიდრის დასახელებაც, რადგან საუდიანთა საგვარეულოს წარმომადგენელთა რიცხვი საკმაოდ დიდია, მათგან ორი ათასამდე არის რეალური ელიტა, რომელსაც დაკავებული აქვს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები. მათ შორის მიმდინარეობს მუდმივი ქიშპობა, რომელიც ისახება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. საუდის არაბეთის იმიჯი კი საკმაოდ შელახულია ხელისუფლებაში მოსული პირების მიერ გატარებული ქმედებებით, რომელიც პირველ რიგში არ მოდის დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების დაცვასთან თანხვედრაში.[12]

2015 წლიდან საუდის სახელმწიფო გამგებლად იქცა მუჰამედ ბინ სალმანი , რომელმაც ერთგავრი იმედის ნაპერწკალი გააჩინა თავისი ენერგიული პოლიტიკის

[12] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკა“ თბილისი 2019 გვ 177

გატარებით , რომელსაც წარმოადგენდა მისი „2030 წლის ხედვა[13]“ -გამიზნული იქნებოდა ისეთი რეფორმების გატარებაზე, რომელიც მეტ-ნაკლებად შეარბილებდა საუდის არაბეთის კონსერვატიულ იმიჯს საერთაშორისო საზოგადოებაში .

საუდის არაბეთის ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ადამიანის უფლებების დაცვა[14], რის გამოც ხელისუფლება მუდმივ კრიტიკაში იმყოფება. ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო და წამგებიანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის „ჯამალ ხაშოგის ინციდენტი“. რათქმაუნდა ეს არ იყო პირველი შემთხვევა ,თუმცა ხაშოგის საქმე დიპლომატიური წესების ფეხქვეშ გათელვის უპრეცენდეტო ფაქტი აღმოჩნდა , რადგან შეურაცხყვეს თურქეთის სახელმწიფო , რომლის ტერიტორიაზეც მოხდა მკვლელობა. რაც შეეხება თვითონ ფაქტს -სტამბოლში საუდის არაბეთის საკონსულოს შენობაში არ - რიადიდან გამოგზავნილმა მკვლელებმა იმსხვერპლეს საკონსულოში დაბარებული საუდელი ჟურნალისტი , რომელიც ბედავდა გაეკრიტიკებინა არა მხოლოდ დინასტიის პოლიტიკა , არამედ თავად უფლისწულიც. დანაწევრებული ხაშოგის სხეული კი გააქრეს და მთელი სამი კვირის განმავლობაში ოფიციალური არ-რიადი ცდილობდა დაემალა მკვლელობის ფაქტი და ავრცელებდა დეზინფორმაციას თითქოს ხაშოგმა დატოვა საკონსულოს შენობა, მაგრამ საერთაშორისო ზეწოლის შედეგად (აქტიურობდა საქმის წარმართვაში თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი) საუდის არაბეთი იძულებული შეიქმნა ეღიარებინა ჟურნალისტის „წინასწარგანზრახული მკვლელობა[15]“ და

[13] პეტრიაშვილი ა. ისრაელი-არაბული სამყარო: 4-ში 4 ... 2019 forbes.ge

[14] თედიაშვილი თ. „ ბოლო დროს მიღებული კანონები ქალთა უფლებების შესახებ საუდის არაბეთში“ 2021 http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/135644/

[15] ინტერპრესნიუსი, „საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცმა ხაშოგის მკვლელობას ამაზრზენი დანაშაული უწოდა“ 2018 https://www.interpressnews.ge/ka/article/517945-saudis-arabetis-memkvidre-princma-xashogis-mkvlelobas-amazrzeni-danashauli-ucoda

განაცხადა , რომ გაასამართლებდა დამნაშავეებს ,თუმცა სასამართლო დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და გასამართლებულთა გვარებიც კი არ იქნა გამოქვეყნებული, სამაგიეროდ ყველა გზა გამოიყენეს, რომ აღნიშნული ფაქტი არ ყოფილიყო უშუალოდ უფლისწულის სახელთან დაკავშირებული. თუმცა ფაქტია , რომ აღნიშნულმა გარემოებამ შელახა მუჰამედ ბინ სალმანის ავტორიტეტი და შესაბამისი რეაქციებიც მოჰყვა რიგი სახელმწიფოებისგან : ბრიტანეთმა და საფრანგეთმა აღშფოთება გამოთქვეს, გერმანიამ გაუუქმა სამხედრო კონტრაქტების ნაწილი, თურქეთმა კი დამნაშავეების თურქეთში გასამართლება მოითხოვა, ხოლო რაც შეეხება ამერიკის პოზიციას, უნდა ითქვას, რომ მას არ მიუღია საუდის არაბეთის წინააღმდეგ შესაბამისი დიპლომატიური ნორმები ,რისი მიზეზებიც გადმოცემული იქნება საუდის არაბეთის პროდასავლური კურსის განხილვისას შემდგომ თავებში. პრეზიდენტმა ტრამპმა აღნიშნული ფაქტი მხოლოდ დაგმო , თუმცა არ დაეთანხმა ,რომ მკვლელობის ბრძანება უშუალოდ უფლისწულის მიერ იქნა გაცემული.

მეორე მნიშვნელოვნად გამოწვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ „დემოკრტიის ინდექსი“. ორგანიზაცია The Economist Intelligence Unit, 10 ბალიანი სისტემით აფასებს 167 სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობას შემდეგი მახასიათებლებით : საარჩევნო პროცესი და პლურარიზი, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო თავისუფლებები.

აღმოჩნდა, რომ საუდის არაბეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში 159-ე ადგილზეა 167 ქვეყანას შორის . 2000 წლიდან საუდის არაბეთის ხელისუფლება ფილტრავს ინტერნეტ-ინფორმაციას და ბლოკავს იმ ინფორმაციულ წყაროებს , რომლებიც მათი მოსაზრებით არ მოდის ისლამთან თანხვედრაში. სერ ჯეიმზ კრეგისმოყვანილ სიტყვებში კარგად შეგვიძლია დავინახოთ არსებული ვითარება ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის კუთხით. „ 1945 წელს არაბულ სამყაროში დემოკრატია საერთოდ არ იყო, ახლაც ის პრაქტიკულად არ არსებობს , თუ აქა-იქ მის რაღაც ციმციმს არ ვიგულისხმებთ. არაბულ ქვეუყნებში ხდებოდა რევოლუციები და

ჩნდებოდა ე.წ. „პროგრესული რეჟიმები“ , რომლებიც არაფრით სჯობდა ტრადიციულ რეჟიმებს სამწუხაროა , , რომ ახლო აღმოსავლეთის საზოგადოების განვითარებაზე საუბრისას რთულია გვერდი აუარო რელიგიურ თავისებურებებს, რომლებსაც ხელისუფლება სათავისოდ იყენებს მის მიერ დასახული პოლიტიკის განხორციელებისთვის და რელიგიას, როგორც იდეოლოგიას ამოფარებულები, ახდენენ რეალური ხანაც არასწორად აღქმული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლას. [16]

„ რეგიონის დემოკრატიზაცია“ მთავარ მიზანს აღარ წარმოადგენს. დასავლეთის პოლიტიკური აღქმით „არსებული პოლიტიკური რეჟიმები არ ნიშნავს ავტომატურად სახელმწიფოთა არასტაბილურობას“. მიუხედავად მოსაზრებისა , რომ ყურის ქვეყნების მონარქიები მოძველებულია, ფაქტი ფაქტად რჩება , რომ არაბულ სამყაროში მომხდარი რევოლუციების მიუხედავად არაბული მონარქები დღემდე აგრძელებენ არსებობას. რათქმაუნდა სოციალურ- ეკონომიკური ცვლილებების გავლენა პოლიტიკურ სტრუქტურებზე დიდია და ცვლილებების მოსახდენად უბრალოდ დრო არის საჭირო.[17]

არაბულ და ისლამურ სამყაროში საუდის არაბეთის მნიშვნელოვანმა როლმა ერთგავარად ხაზი გაუსვა მისი საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევას.

რამდენიმე ძირითადი მიზეზი გამოიყოფა , რის გამოც საუდის არაბეთის სამეფო მოექცა დასავლეთის ინტერესების ქვეშ :

- საუდის არაბეთის სამეფო, როგორც მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყნა.

---

[16] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთის ისტორია-გეოპოლიტიკა“ ტII თბილისი 2019გვ110

[17] [17] J.E. PETERSON Saudi Arabia and the Illusion of Security , The International Institute for Strategic Studies 2002 ,p 15-30

- არაბულ და ისლამურ სამყაროში მისი ძალზედ მნიშვნელოვანი როლი ,არა მხოლოდ როგორც ისლამური სამყაროს ლიდერის, არამედ , როგორც მოდეატორი ძალის არაბულ პოლიტიკაში
- საუდის არაბეთი წარმოადგენს საყრდენს „ყურის თანამშრომლობის საბჭოსი“ (GCC).
- საუდის არაბეთი განხილული იქნა , როგორც ბირთვი არაბულ სამყაროსთან დასავლეთის ურთიერთობის.
- საუდის არაბეთი-ირანის გამაწონასწორებელი რეგიონში.[18]

ინტერესთა თანხვედრამ გამოიწვია საუდის არაბეთის არსებული პოლიტიკური კურსის შენარჩუნება. 1933 წლის 7 ნოემბერს ამერიკასა და საუდის არაბეთს შორის დადებული იქნა შეთანხმება დიპლომატიური მისიების გახსნის შესახებ. 1940 წელს სრული დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა და მას შემდეგ საუდის არაბეთი ამერიკის მნიშვნელოვანი მოკავშირე გახდა. ორივე მხარე დღემდე მჭიდროდ თანამშრომლობს ეკონომიკური განვითარების, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უსაფრთხოებისა და სამშვიდობო პროცესების საკითხებზე. მიუხედავად 2001 წლის მოვლენებისა საუდის არაბეთი ამერიკის ძლიერი პარტნიორია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საუდის არაბეთი ამერიკის მსხვილი კრედიტორია და აქ მდებარეობს აშშ-ს ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი ახლო აღმოსავლეთში.

1946 წელს საჰარის ტერიტორიაზე მოხდა ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზების Dhahran -ის მშენებლობა, რომელიც გადაეცა საკუთრებაში საუდის არაბეთის სამეფოს.

1945 წლის 14 თებერვალს , ამერიკული კრეისერის „ქუინზის“ გემბანზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს საუდის არაბეთის მეფე აბდულაზიზ იბნ

[18] J.E. PETERSON Saudi Arabia and the Illusion of Security , The International Institute for Strategic Studies 2002 ,p 51

საუდი და ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, სადაც ნავთობის სტაბილური მიწოდების სანაცვლოდ დემოკრატიის უმთავრესმა დამცველმა უსაფრთხოების გარანტია მისცა შუა საუკუნეებში ჩარჩენილ სამეფოს, სადაც მონობის გაუქმება ჯონ კენედის სახელთანაა დაკავშირებული.

ამერიკის სანავთობო ინტერესები მეორე ადგილზე გადადის რეგიონში , ამერიკის ნავთობის იმპორტის მხოლოდ 18 % მოდიოდა ახლო აღმოსავლეთზე.

ამერიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს - ნავთობის მხოლოდ ამერიკულ დოლარებში გაყიდვა, რომ არ მოხდეს დოლარის გაუფასურება. რასაც მტკიცედ იცავს კიდეც საუდის არაბეთი და „ოპეკის“ წევრი ქვეყნები. დაინტერესებულია შეინარჩუნოს ნავთობის ფასი, რომ მოახდინოს თავისი წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფა.

მიუხედავად მათ შორის განსხვავებებისა ისლამურ აბსოლუტურ მონარქიასა და სეკულარიზმს შორის ორივე ქვეყანა მჭიდრო მოკავშირეა.

ირანის გაწონასწორება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ორივე მხარის ინტერესებში ექცევა.

ცდუნება პოლიტიკური თუ შეღავათიანი ეკონომიკური შეთავაზებებისა დიდია საუდის არაბეთის წინაშე. ჩინეთი არ ერევა რეგიონალურ პოლიტიკაში, ის ირანის მსხვილი სავაჭრო პარტნიორია, რაც საუდის არაბეთის გაღიზიანებას იწვევს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია 2017 წელს ხელი მოეწერა მეფე სალმან ბინ აბდულ აზიზ პეკინში 60 მილიარდიან სავაჭრო გარიგებისთვის მრეწველობის განვითარების, სამხედრო დრონების ქარხნის მშენებლობისა და ჩინეთისგან ტექნოლოგიების

შეძენის შესახებ. აშშ -მ უარი უთხრა საუდის არაბეთს უახლესი დრონების გადაცემაზე.

ახლო აღმოსავლეთში „სანავთობო დიპლომატიის გზით[19]“ ცდილობს ადგილის დაკავებას რუსეთიც. 2017 წლის ოქტომბერში საუდის არაბეთსა და რუსეთს შორის გაიმართა მოლაპარაკებები სანავთობო ფასების შესახებ და შედგა კასტელური გარიგება OPEC+.

საუდის არაბეთი ინარჩუნებს პოლიტიკურ სტატუსკვოს , რადგან რეგიონში მის მთავარ მოწინააღმდეგე ძალად კვლავ რჩება ირანი , ხოლო ირანისა და რუსეთის პოლიტიკის თანხვედრა ბოლო პერიოდში მეტ-ნაკლებად შემაჩერებელ ფაქტორს წარმოადგენს უფრო მყარი ურთიერთობებისა , რადგან დასავლეთის ინტერესებში შედის არ დაუშვას რეგიონში რუსეთისა და ჩინეთის პოზიციების გამყარება. ამავე დროს შეაჩეროს ირანის ბირთვული ამბიციები და გავლენა რეგიონში უფრო მეტად მჭიდრო აღმოჩნდა.

თავი II სპარსეთის ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში

2.1 საუდის არაბეთის ჩართულობა რეგიონულ პოლიტიკაში

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში პოლიტიკური გაერთიანებისთვის საკმარისი ფაქტორები არ არსებობს .

სახელმწიფოთა ქმედებების პრიორიტეტის შერჩევის მთავარ ფაქტორს - კი რელიგია წარმოადგენს.

[19] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთის ისტორია-გეოპოლიტიკა“ ტ II თბილისი 2019 გვ110

სპარსეთის ყურის რეგიონი მოიცავს 8 ქვეყანას- არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, ბაჰრეინს, ერაყს, ირანს, კატარს, ომანსა და საუდის არაბეთს. ყურის გეოპოლიტიკური რეგიონის ჩამოყალიბება დაკავშირებულია 1970 იან წლებთან , როდესაც ყველა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. მათი უპირატესობები კი იცვლებოდა რეგიონში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე. რეგიონალური ურთიერთობების განვითარებაზე უმთავრესი როლი ითამაშა ირანის ისლამურმა რევოლუციამ , რომელიც შეშფოთებას იწვევდა მეზობელი არაბული ქვეყნების.[20]

ყურის რეგიონი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, არა მხოლოდ აქ თავმოყრილი ნავთობისა და გაზის რესურსების გამო , არამედ რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გამოც. ბოლო პერიოდში საუდის არაბეთმა შეძლო პოლიტიკური პრესტიჟის მოპოვება თავისი აქტიური მონაწილეობით რეგიონის კონფლიქტების დარეგულირებაში.

საუდის არაბეთმა ირან-ერაყის 1980 წლის ომის შემდეგ კავშირების გამყარება დაიწყო სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოებთან.

საუდის არაბეთი არა თუ უმნიშვნელო სამხედრო-პოლიტიკურ ძალად იქცა, არამედ ცდილობს საყრდენი იყოს სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის და უკარნახოს მათ პოლიტიკური ქცევა.

ოფიციალური არ -რიადის მიერ მიღებული ხისტი პოლიტიკური გადაწყვეტილებები სპარსეთის ყურის ქვეყნების მიმართ ხშირად საკვანძოა მისი პოლიტიკური ინტერესებისა და უსაფრთხოებისთვის.

საუდის არაბეთის პირდაპირ ინტერესში შედის გავლენის სფეროების ზრდა.

საუდიანთა დინასტიის სამეფო ოჯახი უფრთხის ისლამურ რევოლუციას არაბულ სამყაროში და უმთავრეს მეტოქედ მიიჩნევს ირანის ისლამურ რესპუბლიკას.

---

[20] სანიკიძეგ. , გ.ალასანია, ნ.გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობების სამხრეთ კავკასიასთან (XIX-XXI) თბილისი 2011 გვ 406-407

ირანი- ბუნებრივი რესურსებითა და სამხედრო-პოლიტიკური გავლენით მნიშვნელოვან რეგიონულ ძალას წარმოადგენს. ორივე დაპირისპირებულ მხარეს ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესები გააჩნია.

მათი დაპირისპირება ძირითადად რელიგიურ ნიადაგზეა წარმოქმნილი, რამაც გაზარდა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში რელიგიური დაპირისპირების მკვეთრი ზრდა. სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებული სხვაობა რეგიონის პოლიტიკურ მიდგომებზე მნიშვნელოვნად აისახება. სუნიტური საუდის არაბეთი სუნიტების დამცველად წარმოადგენს თავს და მისი მიზანია არ დაუშვას თავის საზღვრებთან პროირანულად განწყობილი მთავრობის არსებობა, ვინაიდან ირანი მოკავშირეებს იკრებს სპარსეთის ყურის ქვეყნებში ოპოზიციურად განწყობილი შიიტური მოსახლეობის მფარველობის ხარჯზე.

ოფიციალურად ირანსა და საუდის არაბეთს ერთმანეთისთვის ომი არ გამოუცხადებიათ , თუმცა მრავალი წელია აწარმოებენ ომს „სხვისი ხელებით“ (proxy war). სპარსეთის ყურის ორი ქვეყნის ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბოლო წლებში განვითარებულმა კონფლიქტებმა.[21]

სწორედ ამიტომ, ოფიციალური არ -რიადი მაქსიმალრად ცდილობს განსაკუთრებით შეასუსტოს ირანის გავლენა იმ ქვეყნებში , სადაც უმრავლესობა მოსახლეობის შიიტია. მათი დაპირისპირება ყველაზე მეტად გამოიხატა ერაყის, ლიბანის, ბაჰრეინისა და იემენის შემთხვევებში.

თავის დროზე ირანმა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა სცადა მეზობელ არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის დაწყებით. 1991 წელს დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინა საუდის არაბეთთან , თუმცა კვლავ გაწყდა 2017 წელს ,როდესაც თეირანში მოახდინეს საუდის არაბეთის საელჩოს შენობის დაწვა, რისი

[21] რობაქიძეგ. -იემენი :სამოქალაქო ომი შორეული შდეგებით პოლიტო/ლოგოს # 2 თბილისი 2020 გვ 77-92

პროვოცირებასაც საუდის არაბეთმა შეუწყო ხელი და მოახდინა საკუთარი 47 შიიტი მოქალაქის სიკვდილით დასჯა ,რომელთა შორისაც იმყოფებოდა შიიტური სასულიერო პირი ნიგრ ბაქრ ალ ნამირი, რომელიც იცავდა შიიტების უფლებებს საუდის არაბეთში. ოფიციალურმა თეირანმა აღნიშნული ფაქტის გამო არ-რიადს ბრალი დასდო რელიგიური ნიშნით შიიტური მუსლიმების დევნაში რასაც საპროტესტო გამოსვლებიც მოჰყვა. ამავე პერიოდში საუდის არაბეთმა მოახდინა ანტიირანული კოალიციის შექმნა ,სადაც ბაჰრეინი და გაერთიანებული არაბული საამირო შევიდა.

რაც შეეხება ბაჰრეინს, მისი მოსახლეობის უმეტესობა შიიტია, ქვეყანას კი სუნიტი ალ-ხალაფას საგვარეულო დინასტია მართავს, რომელსაც არაერთ დისკრიმინაციაში სდებდენ ბრალს. მოსახლეობის სურვილი ხელისუფლების გადადგომის შესახებ აღქმული იქნა , როგორც შიიტური მოსახლეობის წაქეზება ირანის მხრიდან. საუდის არაბეთმა კი ბაჰრეინში გამოსვლების ჩასახშობად „ყურის თანამშრომლობის საბჭოს ეგიდით“ ჯარი შეიყვანა. ბაჰრეინი საუდის არაბეთთან და გაერთიანებულ არაბულ ემირატებთან ერთად დღემდე მიიჩნევს , რომ ირანმა თავის დროზე სპარსეთის ყურის სამ სადავო კუნძულს ძალით დაეუფლა. ბაჰრეინი ზომიერ როლს ირგებს რეგიონულ პოლიტიკაში, მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს აშშ-სთან და საუდის არაბეთთან. ბაჰრეინი ძირითად საკითხებთან მიმართებაში დამთხვევაში მოდის საუდის არაბეთის სამეფოსთან. თავის დროზე გაწყვიტა ურთიერთობა ირანთან, ყატართან და მონაწილეობს იემენის სამოქალაქო ომში შიიტი ჰუთიების წინააღმდეგ და მომხრეა მშვიდობის ახლო აღმოსავლეთში. თუმცა საუდის არაბეთისგან განსხვავებით იგი შეუთანხმდა ისრაელს სრული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე, რადგან აღნიშნულ ფაქტს მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილავს.[22]

[22] გაჩეჩილაძე რ. ახლო-აღმოსავლეთი გეოპოლიტიკა ტ II თბილისი 2019 გვ 178

საუდის არაბეთის მცდელობა ლიბანში შეემცირებინა ირანის გავლენა კრახით დასრულდა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც საუდიანთა სამეფო ოჯახის მოკავშირე ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სად ჰარირი გადაყენებული იქნა. ხოლო შიიტებით დასახლებულ რეგიონებს ირანის მოკავშირე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „ჰეზბოლა აკონტროლებს“. იგი შექმნილია შიიტური მუსლიმების მიერ. მას ფინანსურად და ლოჯისტიკურად ირანი უზრუნველყოფს
და განიხილება გავლენის გავრცელების საშუალებად,მისი როლი და გავლენა ლიბიის პოლიტიკურ არენაზე გაიზარდა და საუდის არაბეთის ეგიდით 2016 წელს „ ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ მოთხოვნა ყოფილიყო „ჰეზბოლა“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულიყო უარი მიიღო, რის გამოც საუდის არაბეთმა ლიბანს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა. უშედეგო აღმოჩნდა 2017 წელს ლიბანის სუნიტი პრემიერის საად ჰარირის არ-რიადიდან გაკეთებული განაცხადი გადადგომის შესახებ. მის განცხადებაში ირანი და „ჰეზბოლა“ დესტაბილიზაციის ხელმშეწყობებად გამოვიდნენ, თუმცა განცხადების მთავარი მიზანი გაეზარდათ საუდის არაბეთის გავლენა ლიბიაში უშედეგოდ დასრულდა . ჰარირის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული ლიბანის პრეზიდენტის მიშელ უნის მიერ, რომელმაც აღნიშნული გარემოება საუდის არაბეთის ზეწოლად შეაფასა და მოსახლეობის უკმაყოფილების განცდა საუდის არაბეთის მიმართ კიდევ უფრო გაზარდა. საბოლოოდ ჰარირი გადაყენებული იქნა „ჰეზბოლას“ მიერ, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი „ჰეზბოლას“გავლენის გაზრდას ლიბიაში.[23]

საუდის არაბეთის ჩართვა არსებულ იემენის კონფლიქტში, რომელიც 5 წელია მიმდანრეობს ნაწილი ექსპერტების მიერ ირაციონალურადაა აღქმული, თუმცა მისი სამხედრო თუ პოლიტიკური ჩარევა იემენის კონფლიქტში გამოწვეულია ირანის შეკავებით რეგიონში, რადგან შიიტი ჰუთიტების გამარჯვება პირდაპირ ნიშნავს

[23] კაპანაძე მ. დაპირისპირება საუდის არაბეთსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთში პოლიტო/ლოგოს # 2 თბილისი 2020 გვ35

ირანის გავლენის გაძლიერებას. საუდის არაბეთმა 2015 წლის დასაწყისში შექმნა იემენის ცენტრალური ხელისუფლების მხარდამჭერი კოალიცია , რომელშიც 8 არაბული ქვეყანა გაწევრიანდა. 2015 წლის მარტში მათ მიერ განხორციელებული იქნა ოპერაციები „გადამწყვეტი შტორმი“ და „ იმედების აღდგენა“, რომლის ფარგლებში სამხედრო-საჰაერო იერიშები იქნა მიტანილი ჰუთიტების პოზიციებზე - თუმცა სასურველი შედეგი ვერ იქნა მიღწეული , მათი პოზიციების შემცირება ვერ მოხერხდა.

პირიქით ჰუთიტებმა მოახდინეს საუდის არაბეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საავიაციო ბაზაზე სარაკეტო იერიშის მიტანა. 2019 წლის 14 სექტემბერს საბრძოლო დრონების მეშვეობით განახორციელეს საუდის არაბეთის ნავთობსაბადო ხუროსზე დარტყმის მიყენება და „ARAMCO“ -ს ინფრასტრუქტურის დაზიანება. ამ ყველაფრის განხორციელლება კი გარეშე ძალის დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. საუდის არაბეთი ღიად სდებს ბრალს ირანის ხელისუფლებას მათი დახმარებისთვის და ვარაუდს ამყარებს გაეროს მიერ 2009 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაზე სადაც აღნიშნულია, რომ ირანი ფინანსურად და შეიარაღებითაც ეხმარებოდა ჰუთიებს და მათ სამხედრო გადამზადებაში მისი როლი დიდია. შესაბამისად იემენის სამოქალაქო ომი ცდება შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებს და დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური რყევების გამოწვევა შეუძლია.

ყურის ქვეყნების საზღვრები ერთმანეთთან და მეზობელ სახელმწიფოებთან დადგინდა ლონდონის მიერ ან მისი შუამავლობით. სწორედ ბრიტანეთის დამსახურებაა, რომ ომანის შეიხებმა საუდის არაბეთს არ დაუთმეს რუბლ -ალ - ხალის უდაბნო. ბრიტანეთის მანდატის დასრულების შემდეგ სირთულეები კიდევ ფრო მეტად გაიზარდა. 1974 წელს აბუდა-ბის მმართველმა საუდის არაბეთის მეფე ფაისალს გაუცვალა 25 კმ სიგრძის გასასვლელი ყურეში კატარის სამხრეთით , ექვსი მცირე ოაზისის სანაცვლოდ. საუდის არაბეთის მეფე ფაისალმა აღიარა სანაცვლოდ

მისი საზღვრები და დამოუკიდებლობა. გაერთიანებული არაბულ საამიროს რეგიონული პოლიტიკა თანხვედრაში მოდის საუდიანთა სამეფოსთან. [24]

ამ გარიგების შემდეგ კატარს მხოლოდ ერთი მეზობელი ჰყავს საუდის არაბეთის სახით.

კატარის საუდის არაბეთსა და ირანს შორის მდებარეობს. 1992 წლიდან აშშ-სთან თანამშრომლობს, მათ შორის დაიდო „ სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება“, რომელიც 2013 წელს 10 წლით გაგრძელდა. კატარში მდებარეობს აშშ-ს ალ-იუდეიდის საავიაციო ბაზა და „ ამერიკის ცენტრალური სარდლობის კომბინირებული საჰაერო ოპერაციების ცენტრი“.[25] სწორედ მსგავსი მფარველობა კატარს აძლევს საშუალებას მეტ-ნაკლებად თანაბარ დონეზე ესაუბროს საუდის არაბეთსა და ირანს.

კატარის ამირა რეგიონში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს რითიც იწვევს საუდის არაბეთის უკმაყოფილებას. კატარი ეწინააღმდეგება ირანის დემონიზაციას საუდის არაბეთის მიერ, შესაბამისად თანამშრომლობს ირანთან და იყოფს ყურის შელფზე მდებარე მსოფლიოში უდიდეს გაზის საბადოს „სამხრეთ ჰარსს“. კატარი ფლობს მსოფლიოში სიდიდით მესამე ბუნებრივი გაზის მარაგს და გათხევადებული გაზის ექსპორტში მსოფლიო მოცულობის 28% მასზე მოდის.

კატარის ხელისუფლება არ მიიჩნევს საჭიროდ აღიაროს საუდის არაბეთის ხელმძღვანელი როლი „ყურის თანამშრომლობის საბჭოში“. არსებობს პიროვნული დაპირისპირება დინასტიებს შორის - ორივე მათგანი საკუთარ თავს მიიჩნევს ვაჰაბიტური ისლამის მთავარ მცველად.

---

[24] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი-გეოპოლიტიკა ტ II თბილისი გვ 179

[25] **Кепински** O. “Аравийские монархии сняли блокаду Катара “ 2021 https://ru.euronews.com/2021/01/05/ru-saudia-arabia-and-qatar-agreement

კატარში მდებარეობს ტელევზია „ალ -ჯაზირა“ , რომელიც აკრიტიკებს არაბული ქვეყნის ლიდერებს, განსაკუთრებით საუდიანთა დინასტიას.

დაპირისპირებას ამწვავებს კატარის თანამშრომლობა რადიკალურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა „ალ-კაიდა“, „ჰამასი“ , „მუსლიმი ძმები“., რომლებსაც არ აღიარებს ტერორისტულ ორგანიზაციებად, ისევე, როორც თურქეთი. კატარის მჭიდრო ურთიერთობა თურქეთთან კი იწვევს საუდის არაბეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად გამწვავებას, თურქეთი აღიქმება ქვეყანად, რომელიც საუდის არაბეთს ეცილება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ლიდერობისკენ. იგი ღიად უჭერს მხარს კატარს და აქ მდებარეობს მისი სამხედრო ბაზა .

კატარი , რომელიც მთლიანადაა დამოკიდებული სურსათის იმპორტზე , შეძლო გაეძლო ბოიკოტისთვის . 2017 წელს საუდის არაბეთმა , გასმა და ბაჰრეინმა შეწყვიტა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები ირანთან თანამშრომლობის გამო. დახურული იქნა სატრანსპორტო და საჰაერო დერეფნები. შესაბამისად იგი იმპორტს მთლიანად აწარმოებს ირანიდან და თურქეთიდან. კატარმა შეძლო ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ჰამადის აშენება და ყურის ნავსადგურებზე დამოკიდებულების შემცირება. ხელისუფლებამ უარი განაცხადა ურთიერთობის გაწყვეტაზე ირანთან და ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ დახურვაზე. პირიქით 2017 წლის 24 აგვისტოს განცხადებით იგი მზადაა ირანთან სრული დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს.

ქუვეითი იყო ქვეყანა , რომელიც ინიციატორი გამოვიდა ხართუმის კონფერენციაზე დახმარება აღმოეჩინა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომში დაზარალებული „ არაბი ძმებისთვის“. მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამერიკასთან და საუდის არაბეთთან , რომელსაც განმათავისუფლებლად მიიჩნევს ერაყთან კონფლიქტის დროს სწორედ საუდის არაბეთის ეგიდთ ჩატარდა 1990 წლის 3 აგვისტოს კაიროში არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი და მიღებული იქნა რეზოლუცია , რომელიც გმობდა ერაყის შეჭრას

ქუვეითში. კოალიციის ძალების ფინანსურ სპონსორს საუდის არაბეთი წარმოადგენდა, რომლის ხარჯებმა 55 მლრდ დოლარი შეადგინა[26]. თავისთავად ქუვეითიც ცდილობდა შეესრულებინა შუამავლის როლი საუდის არაბეთსა და ყატარს შორის და ბიძგი მიეცა მათი ურთიერთობების დარეგულირებისთვის. ქუვეითს ძირითადად შიდა პრობლემები აქვს მოსაგვარებელი , როგორიცაა განხეთქილება მოქალაქეებსა და ქვეყანაში მომუშავე უცხოელებს შორის და ძირითადი საარჩევნო კანონი .

ნავთობითა და გაზით მდიდარი ერაყი კი 60 წელზე მეტია პრობლემების ეპიცენტრშია. 1958 წლის რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური არასტაბილურობა ნორმად ითვლებოდა, თუმცა გარემოება შედარებით გაუმჯობესდა სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის დამყარების შემდგომ, რომელმაც საბოლოოდ ქვეყანა პოლიტიკურ ავანტიურებში ჩაითრია.

მცდელობა ესარგებლა ირანის დასუსტებით და მოეხდინა ნავთობით მდიდარი ხუზესთანის დაპყრობა , გაგრძელდა მათ შორის 8 წლიანი ომით , რომელიც უშედეგოდ დამთავრდა ორივე მხარისთვის , ომამდელი საზღვარი უცვლელი დარჩა. არც არაბულ ქვეყნებს არც დაასავლეთს არ შეუშლია ხელი ჰუსეინის ქმედებისთვის, რადგან მიიჩნევდნენ , რომ ერაყს ომი არუნდა წაეგო.

ფიანანსური მხარდაჭერა საუდის არაბეთმა და ქუვეითმა გაუწია ერაყს.

ვითარების გაუარესება გამოიწვია ჰუსეინის მიერ გამოცხადებულმა პრეტენზიამ ქუვეითზე, რომელსაც თავის პროვინციად თვლიდა., თუმცა ერაყის ქმედება შეფასებული იქნა , როგორც სამომავლო მუქარა ყურის სხვა ქვეყნების მიმართ. ანტი-ერაყული კოალიცია სწრაფად შეიქმნა, სადაც არაბული ქვეყნებიც შევიდნენ , მათ შორის საუდის არაბეთმა პირველად დაუთმო თავისი ტერიტორია ანტი-ერაყულ კოალიციის სამხედრო ძალებს და ოპერაცია „უდაბლოს ქარიშხალით“ სწაფად იქნა გათავისუფლებული ქუვეითი.

[26]გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები თბილისი 2008 გვ 270-279

ახალი მთავრობის ფორმირება ერაყში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ 2008 წელს შეიქმნა ხელისუფლება შიიტი არაბებისა და ქურთების კოალიციისგან, თუმცა ტერორიზმი ყოველდღიურ მოვლენად იქცა და ერაყის ქურთისტანში ჩამოყალიბდა ავტონომიური მთავრობა საკუთარი არმიით.

ერაყის მოსახლეობის 60 % შიიტია და კეთილგანწყობილია ირანის მიმართ. სწორედ ირანისა და ამერიკის დახმარებით შეძლეს ერაყელმა სამთავრობო ძალებმა ტერორისტული ორგანიზაციის „დაეშის“ დამარცხება. მიუხედავად ვითარების შედარებით დალაგებისა , ერაყში არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე ჯერ საუბარიც კი ზედმეტია. ნათელ წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ საუდის არაბეთის მიერ გამოცხადებული მზადება საელჩოს გახსნის შესახებ ბაღდადში.[27]

ომანისა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობები შედარებით გაუმჯობესდა მას შემდეგ რაც მოახდინეს ტერიტოიული უთანხმოების დარეგულირება , რომელიც ჯერ კიდევ 1952 წელს წარმოიშვა ნავთობის საბადო- ელ -ბურაიმის გარშემო. 1971 წლიდან ოფიციალურად აღდგა ორმხრივი ურთიერთობები მხარეებს შორის , 1990 წელს მოახდინეს საზღვრების დემარკაცია . ომანის განსხვავებული მიდგომა შეიმჩნევა ძირითადად ირანთან ურთიერთობის დათბობით.

ყურის თითეული ქვეყნის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მიღწევა ერთმანეთთან ურიერთობის გარეშე შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მცდელობები ერთიანი არაბული სამყაროს შექმნაზე შეუძლებელი აღმოჩნდა, მათ შეძლეს საერთო ინტერესებისა და ფასეულობების განსაზღვრა, მოახდიეს საერთო საფრთხის გარშემო გაერთიანება და შექმნეს შესაძლებლობა ალიანსის შექმნის 1981 წელს შეძლეს „ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ შექმნა. რომელიც დღეისთვის ყველაზე წარმატებულ ორგანიზაციას წარმოადგენს არაბულ სამყაროში . რამდენადაა „ყურის თანამშრომლობის საბჭო“-რეგიონი და რამდენად მოხერხდება სამომავლოდ მისი კონფედერაციად გარდაქმნა, , შეძლებს თუ არა ის საგარეო პოლიტიკურ

[27] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი- გეოპოლიტიკა ტ II თბილისი 2019 გვ157

არენაზე იმოქმედოს როგორც ერთიანი აქტორი და რამდენად გახდება ყურის რეგიონის უსაფრთოების გარანტი მათ მიერ შექმნილი „ნახევარკუნძულის ფარის ძალები“ დაწვრილებით იქნება განხილული შემდეგ თავში.

2.2 საუდის არაბეთი და ტერორიზმი

„ცივილიზაციათა შეჯახება“ და არაბულ სამყაროში არსებული დაპირისპირებები ისლამურ მიმდინარეობებს შორის ხშირად ჰპოვებს გამოხატულებას ისლამურ რადიკალიზმში და სათავეს უდებს ტერორიზმს. საერთაშორისო ტერორიზმი კი გახლავთ ის ასიმეტრიული საფრთხე ,რომლის მიმართაც მოწყვლადია ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოება.

საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ დამოკიდებულება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებით შეიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ. აქვე უნდა ავღნიშნო , რომ საუდის არაბეთის დამოკიდებულების ცვლილება ტერორისტულ ორგანიზაციებთან მიმართებაში სწორედ ამ მოვლენის შემდგომ მოხდა, ხელისუფლების შესამჩნევად გააქტიურება და შესაბამისი ზომების მიღება ისლამური ექსტრემიზმის გავრცელების წინააღმდეგ განაპირობა ორმა ძირითადმა გარემოებამ

პირველი : ტერორიზმის მასშტაბები თვით საუდის არაბეთშიც უქმნიდა საფრთხეს შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას (2003 წლის 13 მაისს განხორციელებული ტერაქტები არ -რიადში) და ამავე დროს ნაწილი ექსპერტების

აზრით რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციები წარმოადგენენ დინამიურ ოპოზიციურ ძალას მმართველი დინასტიის წინააღმდეგ.[28]

მეორე : ის ფქტი , რომ 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილე 19 ტერორისტიდან 15 საუდის არაბეთის მოქალაქე იყო, ოფიციალური არ -რიადი დაადანაშაულეს საზღვარგარეთ ვაჰაბიზმის ხელშეწყობაში და საერთაშორისო საზოგადოებამ აიძულა ხელისუფლება ჩართულიყო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ტერორისტულ ორგანიზაციებთან და ამით აღედგინათ საუდის არაბეთის შელახული იმიჯი.[29]

საუდის არაბეთი უარყოფდა ოფიციალური პირების შესაძლო კავშირს და მოითხოვდა ვაშინგტონისგან გაევრცელებინა 900 გვერდიანი მოხსენების ის 28 გვერდი , რომელიც ეხებოდა 11 სექტემბრის ტერაქტს. ამ გვერდების შესახებ წლების განმავლობაში მიმდიანრეობდა დებატები მედიასა და პოლიტიკურ კულუარებში. ამ ნაწილის გასაიდუმლოების მიზეზი იყო თავიდან აეცილებინათ უარყოფითი გავლენა საუდის არაბეთთან ურთიერთობაზე. მოხსენებაში არსებული ინფორმაცია მიღებულია CIA და FBI ის დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე.

მოხსენებაში გამახვილებულია ყურადღება რამდენიმე პირზე , რომლებსაც ჰქონდათ უშუალო კავშირი თვითმფრინავების გამტაცებლებთან და ასევე შესაძლო კავშირი ჰქონდათ საუდის არაბეთის ოფიციალურ პირებთან.
ერთ-ერთი პიროვნება გახლდათ ომარ ალ-ბაოუმი რომელიც FBI ის ინფორმაციით 1999 წელს იყო საუდის არაბეთის სადაზვერვო სამსახურის ოფიცერი, იგი მუშაობდა

---

[28] **Юрченко В „ Саудовская Аравия: проблемы противодействия терроризму и исламскому экстремизму” 2021 http://www.lib.csu.ru/ER/ER_SPSAS/fulltexts/YurchenkoV_SAr.html**
[29] THOMAS HEGGHAMMER Jihad in Saudi Arabia , Cambridge 2010 p 99

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში და ხშირი კონტაქტი ჰქონდა საუდის არაბეთის თავდაცვის სამინისტროს ემირთან.

მეორე პირი ოსამა ბასნანი -რომელიც მუშაობდა საუდის არაბეთის საგანმანათლებლო მისიაში .ბასნანი და მისი მეუღლე დაფინანსებას იღებდნენ აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩისა და მისი მეუღლისგან. ინფორმაციით ლოს-ანჯელესში არსებული მეჩეთის მეშვეობით ხდებოდა ფულის გათეთრება და დაფინანსება იმ ორგანიზაციების რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ოსამა ბილ ადენთან. საქმეში მონაწილეობდ არამდენიმე საქველმოქმედო ფონდიც.
შესაბამისად საუდის არაბეთის წინააღმდეგ მთავარი სამართლებრივი არგუმენტები მის მირ 11 სექტემბრის ტერაქტში - მის დაფინანსებაში გამოიხატება. [30]

2001 წლიდან 2003 წლამდე საუდის არაბეთში დაკავებული იქნა 300 ადამიანი, რომელიც დამნაშავეებად ცნეს ტერორისტულ საქმიანობასთან კავშირში , ხოლო 1000 ზე მეტი ძებნაში იქნა გადაცემული. საუდის არაბეთის სპეცსამსახურების მიერ ამოღებული იქნა დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერებები და იარაღი.

2002 წელს ხელისუფლებამ ინტერპოლის დახმარებით სააერთაშორისო ძებნაში გადასცა 750 პირი , რომლებსაც ბრალად ეებოდათ ფულის გათეთრება, ნარკოვაჭრობა და ტერორისტული საქმიანობა. დრო და დრო ხდებოდა ამ პირებს ექსტრადაცია სხვადასხვა ქვეყნებდან.

---

[30] Юрченко В „ Саудовская Аравия: проблемы противодействия терроризму и исламскому экстремизму” 2021 http://www.lib.csu.ru/ER/ER_SPSAS/fulltexts/YurchenkoV_SAr.html

ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებული ზომები კიდევ უფრო გაფართოვდა 2003 წლის ტერაქტის შმდეგ არ -რიადში , რომლის დროსაც თვითმკვლელმა ტერორისტებმა მოახდინეს თავდასხმა ქალაქების დაასახლებულ პუნქტებზე. დაიღუპა 35 ადამიანი და 200 ზე მეტი დაშავდა. 2003 წლის 21 აგვისტოს უმაღლესმა მუფთმა აბდელ აზიზ ალ შეიხმა თავის მიმართვაში განასხვავა ერთმანეთისაგან ექსტრემიზმი და ფანატიზმი და განაცხადა , რომ მათ არანაირი კავშირი არ აქვთ ჭეშმარიტ ისლამთან.

იზრდება საუდის არაბეთის თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამიკასთან, ჯერ კიდევ 1996 წელს შექმნეს ერთობლივი კონტრტერორისტული კომიტეტი, სადაც შევიდნენ კონტრდაზვერვისა და იურიდიული განყოფილების წარმომადგენლები. კომიტეტის სხდომები რეგულარულად ტარდება და ხდება მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლა და ხორციელდება ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციები.

საუდის არაბეთი გახლავთ 1998 წლიდან „დიდი შვიდეულის“ მიერ შექმნილი ორგანიზაციის „ოპერატიული ჯგუფის ფინანსური საკითხებთან მიმართებაში“. დიდი როლი ენიჭება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ფინანსური წყაროების მოძებნას. ოფიციალურმა არ-რიადმა ჯერ კიდევ 1994 წელს გაყინა უსამა ბილ ლადენის საბანკო ანგარიშები. ასევე მოახდინა საქველმოქმედო ფონდის „ ალ-ხარმეინის“ ფინანასური ანგარიშები ,რადგან გონივრული ეჭვი არსებობდა , რომ მათ მიერ ხდებოდა „ალ -კაიდას“ დაფინანსება. [31]

საუდის არაბეთმა მოახდინა საკანონმდებლო ცვლილებები, გაამკაცრა საბაჟო კონტროლი და საბანკო ანგარიშების გახსნის პროცედურა. დაზვერვის მიერ ხდებოდა საქველმოქმედო ფონდების თანამშრომლების საბანკო ანგარიშების,

[31] GRAIG UNGER. HOUSE OF BUSH HOUSE OF SAUD. 2004 9/11 P.247

გადარიცხვების კონტროლი და დღეისთვის დახურულია „ალ-ხარამეინის“ ოფისები ალბანეთში , კენიასა და ხორვატიაში.

თუმცა რამდენად ეფექტურია ის ზომები , რომლებიც განახრციელა ხელისუფლებამ იმ ფონზე, როდესაც საუდიანთა დინასტიის წარმომადგენლები თავიანთი ფინანსების ნაწილს ხარჯავენ რადიკალური ისლამიზმის გავრცელებისთვის. მხედველობიდან არუნდ აგამოგვრჩეს შემდეგი , რომ აღნიშნული ცვლილებები მიუღებელია სასულიერო პირებისთვის , შესაბამისად ხელისუფლება შიშობს , რომ მის ქმედებებს შესაძლოა მოჰყვეს შიდა პოლიტიკური გართულებები. მითუმეტეს როცა მისი მოსახლეობის უმრავლესობა კონსერვატიულია.

ამავე დროს, 2015 წელს საუდის არაბეთმა ჩამოაყალიბა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკუთარი ალიანსი. მასში შესულია 34 ისლამური ქვეყანა , მათ შორის ეგვიპტე, ქუვეითი, პაკისტანი , თურქეთი, პალესტინა და ა. შ. საუდის არაბეთის პრინცმა , იმ პერიოდში თავდაცვის მინისტრა მუჰამედ ბენ სალმანმა განაცხადა , რომ კოალიცია იბრძოლებს ნებისმიერი ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ ნებისმიერ ადგილას სადაც არუნდა იმყოფებოდნენ ისინი. პრინცმა ხაზი გაუსვა ,რომ

ბევრი ქვეყანა იტანჯება რეგიონში ტერორიზმისგან და საუდის არაბეთი იბრძოლებს მათ წინააღმდეგ , რითაც ხაზი გაუსვა საუდის არაბეთის როლს რეგიონის უსაფრთხოებაში.

თავი III საუდის არაბეთის როლი ყურის ქვეყნების უსაფრთხოებაში

3.1 ყურის ქვეყნების ომი და საუდის არაბეთის პოზიცია

ყურის რეგიონში მომხდარმა სამმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა : ირან-ერაყის 1980-1988 წლების ომმა, ერაყის მიერ ქუვეითის 1990 წლის ანექსიამ და 2003 წლის მოვლენებმა ერაყში ,სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა სრულიად საერთაშორისო საზოგადოება და არაბული სამყარო.

ირანსა და ერაყს შორის დაპირისპირება გამოიწვია რამდენიმე მიზეზმა: 1- სასაზღვრო -ტერიტორიული უთანხმოება- სასაზღვრო მდინარის შატ-ელ არაბისა და მასთან მდებარე ნავთობსაბადოების ექსპლუატაციის გამო. 2- პოლიტიკური ბრძოლა ორ ქვეყანას შორის სპარსეთის ყურის ზონაში ლიდერობისთვის. 3- შიიტური ირანის გამოსვლა სუნიტური ხელისუფლების მიერ შევიწროებული ერაყის შიიტური მოსახლეობის მფარველის როლში.[32]

მხედველობიდან არუნდა გამოგვრჩეს , რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სადამ ჰუსეინის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ერაყის გადაქცევა სპარსეთის ყურის რეგიონის წამყვან სახელმწიფოდ და მოახდინა ქვეყნის პოლიტიკურ ავანტიურებში ჩათრევა.

1968-1972 წლებში ერაყიდან გასახლებული იქნა 70 ათასამდე ირანელი წარმოშობის ერაყელი და ამავე დროს თავშესაფარი მისცა ირანის ყოფილ გენერალს თემურ ბახთარს , რომელსაც ბრალად ედებოდა შაჰის წინააღმდეგ ქმედებები. ირანი თავის მხრივ დახმარებას უწევდა ქურთ აჯანყებულებს ერაყის წინააღმდეგ. თუმცა მათ შორის ურთიერთობის დათბობებიც შეიმჩნეოდა ,რაც გამოიხატა კიდეც „ალჟირის

[32]სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. -ახლო აღმოსავლეთის ისტორია (XIX-XXIსს.)თბილისი 2011 გვ 430

დეკლარაციაში[33]“. შეთანხმების მიხედვით : -ირანი უარს ამბობდა ქურთ აჯანყებულთა დახმარებაზე , სახმელეთო საზღვარი იწყებოდა -თურქეთის , ერაყისა და ირანის საზღვრების გადაკვეთის ადგილზე და გრძელდებოდა 1500 კმ-ის მანძილზე მდ. შატ-ელ-არაბამდე. ირანს უნდა დაებრუნებინა ქასრე შირინ მანდალისა და ნიფათ შაჰის ტერიტორიები . აღნიშნული პირობა ირანმა არ შეასრულა.

არაბული სამყარო ორ ნაწილად გაიყო, ნაწილი ირანს თანაუგრძნობდა (სირია,იემენი) ,ხოლო ნაწილი ერაყს უწევდა ფინანსურ და მორალრ მხარდაჭერას (საუდის არაბეთი, ქუვეითი, გასი).

საუდის არაბეთის მხარდაჭერა ერაყისადმი გამოიწვია რამდენიმე გარემოებამ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს , რომ ერაყსა და საუდს არაბეთს შორის მტრული დმაოკიდებულება მათი მონარქიული რეჟმების ქიშპობის შედეგი იყო. ჯერ კიდებ იბნ საუდმა გაამევა ბაღდადის მმართველი ჰიჯაზიდან, ხოლო 70 იან წლებში კი ერაყმა მხარი დაუჭირა საუდელთა საზღვართა ომანელ მეამბოხეებს. 1977 წელს კი მიიერთა საუდიანთა სამეფოს საზღვართან არსებული ნეიტრალურ ზონა , რითაც გამოიწვია ურთიერთობის დაძაბვა საუდელებთან. თუმცა ვითარება მკაფიოდ შეცვალა ირანის ისლამურმა რევოლუციამ , რომელმაც საუდის არაბეთი დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა და მოითხოვდა მისგან მაქსიმალურად სწორად გათვლილი ნაბიჯების გადადგმას. რევოლუციონერების ამბიციური მოთხოვნები საუდის არაბეთის ეროვნულ ინტერესებს ემუქრებოდა , რამაც გამოიწვია საუდელთა პოლიტიკის ცვლილებები. 1979 წელს საუდის არაბეთსა და ერაყს შორის დაიდო ხელშეკრულება თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ, რაც ამყარებდა ფაქტს, რომ ერაყ-ირანის კონფლიქტის დროს საუდელები დახმარებას გაუწევდნენ ერაყის ხელისუფლებას. რევოლუციური ტალღის გადადება ერაყელ შიიტებზე იწვევდა ერაყის ხელისუფლების შეშფოთებას. ჰუსეინმა ბრალი დასდო ირანს

[33] ANDERSON ,STANSFIELS .2004 p 60

ალჟირის შეთანხმების არ შესრულებაში და ცალმხრივად მოახდინა შეთანხმების გაუქმება.

1980 წლის 22 სექტემბერს ერაყმა საომარი მოქმედებები დაიწყო ირანის წინააღმდეგ , რის პროვოცირებაში თავად ირანს ედებოდა ბრალი. ერაყმა მოახერხა ირანის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაპყრობა სამხრეთ-დასავლეთში, რომელთა ნაწილის დაბრინება ირანმა მოახერხა.

ჰუსეინის იმედი იოლი გამარჯვება მოეპოვებინა ირანზე არ განხორციელდა და მათ შორის კონფლიქტი 8 წელს გაგრძელდა, რამაც ორივე მხარის გამოფიტვა გამოიწვია. ერაყი მზად არ იყო გაჭიანურებული ომისთვის , მის სამხედრო პოტენციალს მნიშვნელოვნად აღემატებოდა ირანის სამხედრო პოტენციალი და მიუხედავად იზოლაციისა ირანმა მოახერხმა მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა, რაზეც დააფიქრა საუდის არაბეთი და თუ ომის დასაწყისში ის მხოლოდ მორალურ მხარდაჭერას უცხადებდა ,კარგად ესმოდა რომ ერაყის დამარცხება არსებულ ომში მის ინტერესებში არ შედიოდა, თუმცა ერაყის გამარჯვების შემთხვევაში საუდის არაბეთი კარგავდა გავლენას სპარსეთის ყურეში .ამიტომ არსებული სიტუაცია სიფრთხილეს მოითხოვდა. საბოლოოდ საუდელებმა ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ერაყს, დაუთმო საკუთარი პორტები წითელ ზღვაში, რადგან ამავე დროს შიშობდა რომ ომის გაჭიანურება გამოიწვევდა საომარი ტალღის გაგადებას სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებში, თუმცა ორივე მის რეგიონულ მეტოქეს დაასუსტებდა.[34]

1980 წლის 28 სექტემბერს მიღებული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ერაყი აცხადებდა , რომ ცეცხლს შეწყვეტდა ირანის დათანხმების შემთხვევაში, ირანი კი პირველ რიგში მოითხოვდა

[34] სანიკიძე გ. , . ალასანია გ., გელოვანი ნ. -ახლო აღმოსავლეთის ისტორია (XIX-XXIსს.)თბილისი 2011 გვ 430

კონფლიქტზე პასუხისმგებელი მხარის გამოვლენას, ჰუსეინის სამხედრო დამნაშავედ ცნობას და მხოლოდ ამის შემდეგ ცეცხლის შეწყვეტას.

მაშინ როდესაც ირანი საბოლოოდ დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტას, ერაყმა ქიმიური იარაღი გამოიყენა ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე ქალაქ ჰალაბჯას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ერაყს გაუმართლა , რომ საერთაშორისო საზოგადოება უარყოფითად იყო განწყობილი ირანის სამხედრო ძლიერების მიმართ.

ირან -ერაყის ომმა არცერთ მხარეს არ მოუტანა არც პოლიტიკური და არც სამხედრო უპირატესობა. საბრძოლო მოქმედებებმა გამოფიტა ორივე მხარე და ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა რეგიონი. სასაზღვრო საკითხი დღემდე რჩება სადავო საკითხად ირანსა და ერაყს შორის , 2008 წლის თებერვალში ხელი მოეწერა მათ შორის შეთანხმებას თეირანში.

ჰუსეინის წინაშე არსებული პრობლემები ირან-ერაყის ომმა ვერ გადაჭრა. ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ჰუსეინის სურვილმა გაეგრძელებინა შეიარაღებული ძალების განახლება. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მარტივ გზება ქუვეითის ანექსიაში გამოიხატა.

ერაყი ქუვეითს სამხრეთ პროვინციად მოაზრებდა და ამავე დროს ბრალს სდებდა ნავთობის მოპოვების კვოტების ხელშეკრულების დარღვევაში.

არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრაზე ჰუსეინმა მოითხოვა ქუვეითის, საუდის არაბეთისა და გასის ვალის ჩამოწერას, რომლის გადახდაც მის ინტერესებში არ შედიოდა, რადგან თვლიდა, რომ ირან -ერაყის ომის დროს იცავდა არაბულ საქმეს „შიიტური იმპერიალიზმისა და სამხერო ექსპანსიონისაგან“.[35]

საუდის არაბეთს კარგად ესმოდა აღნიშნული ვითარება შესაბამისად მაქსიმალურად ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა მათ შორის უთანხმოება და შუამავლის როლი შეასრულა ქალაქ ჯიდდაში .შეხვედრა

[35] გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია თბილისი 2011 გვ 436

უშედეგოდ დასრულდა. ერაყის ხელისუფლების მიერ სწორად ვერ იქნა შეფასებული ვითარება , ჰუსეინის მიერ ვერ მოხდა გათვალისწინება, რომ საუდის არაბეთი არ დაუშვებდა ქუვეითის ანექსიას.

სწორედ საუდის არაბეთმა აიღო საკუთარ თავზე ქუვეითის გათავისუფლების როლი მას შემდგე რას 1990 წლის 1 აგვისტოს ერაყმა განახორციელა სამხედრო მოქმედებბეი ქუვეითის წინააღმდეგ.

1990 წლის 3 აგვისტოს კაიროში , საუდის არაბეთის ეგიდით მოწვეული იქნა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის შეხვედრა. მიღებული რეზოლუცია გმობდა ერაყის შეჭრას ქუვეითში, ოფიციალურმა არ-რიადმა აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებების საფუძველზე მიაღწია ქუვეითის გათავისუფლების იდეას მშვიდობიანი ან სამხედრო გზით.

საუდის არაბეთის მეფე - ფაჰდი პრდაპირ აცხადებდა „ქუვეითელებმა არ ითხოვეს დროულად დახმარება და ახლა ისინის ჩვენი სტუმრები არიან. ჩვენ არ უნდა დავუშვათ ისეთივე შეცდომა და ასევე გავხდეთ ვინმეს სტუმრები“[36] და დახმარებისკენ მოუწოდა აშშ- სა და საერთაშორისო საზოგადოებას. ერაყმა უარი განაცხადა გაეროს რეზოლუციების პირობების შესრულებაზე და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ყველანაირი გზა გადაიხაზა.

1996 წლის 10 აგვისტოს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტზე - არაბულმაქვეყნებმა მხარი დაუჭირეს კოალიციის სამხედრო ძალის გამოყენებას ერაყის წინააღმდეგ. ანტი-ერაყულ კოალიციაში შედიოდა 34 ქვეყანა.

25 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ ერაყს სრული საზღვაო და საჰაერო ბლოკადა გამოუცხადა და განუსაზღვრა კონკრეტული თარიღი ქუვეითიდან ჯარს გაყვანაზე . ერაყის ხელისუფლებამ ულტიმატუმი უარყო.

1991 წლის 17 იანვარს საერთო კოალიციის ძალებმა განახორციელეს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“. საუდის არაბეთის ულემთა უმალესმა საბჭომ გამოსცა ფათვა

[36] ХАЛЕД ИБН СУЛТАН «Воин пустыни» 1996 .23-24

და ერაყის წინააღმდეგ ომი ნებადართულად გამოაცხადა. საუდიანთა დინასტია იყო კოალიციის ძალების მთავარი ფინანსური მხარდამჭერი (55 მლრდ.დოლარი შეადგინა). ერაყის სურვილი საპასუხოდ მოულოდნელი დარყმა მიეყენებინა საუდელებისთვის და განეხორციელებინა სამხედრო მოქმედებები საუდის არაბეთის საზღვართან ქალაქ რს ალ-ხაფჯში უშედეგოდ დასრულდა. საუდელებმა შეძლეს ვითარების გაკონტროლება.

„უდაბნოს ქარიშხალი“ სამხედრო თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე კარგად დაგეგმილ ოპერაციად ითვლება. კოალიციის ძალებმა შეძლეს საჰაერო ძალების ოპერატიული გამოყენება და მათი მეშვეობით ცის უსაფრთხოდ გახსნილიყო კოალიციის სახმელეთო ძალებისთვის. 1991 წლის 24 თებერვალს საომარი მოქმედბების ბოლო ეტაპი განხორციელდა .ეს იყო საჰაერო და სახმელეთო ოპერაციების ერთობა, 108 სთ ში ქუვეითი იქნა გათავისუფლებული. 28 თებერვალს ერაყი იძულებული იქნა დათანხმებოდა გაეროს რეზოლუციას და მის მიერ შექმნილ კომიტეტს , რომელსაც უნდა მოეხდინა ერაყ-ქუვეითს შორის საზღვრების დემარკაცია[37].

ამ ომის შემდეგ ქუვეთმა მოახდინა ერაყის საზღვართან თავდაცვითი ნაგებობების აშენება და ოფიციალურად მოუხადა მადლობა საუდის არაბეთის სამეფოს გაწეული დახმარებისთვის.

ერაყთან დაკავშირებული შემდგომი კრიზისი დაკავშირებულია 2002 წლის 8 ნოემბერის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია. აღნიშნული რეზოლუცია მოითხოვდა ერაყის ხელისუფლების თანამშრომლობას ატომური

[37] ანთაძე გ. - „უდაბნოს ქარიშხალი - 30 წელი გამორჩეული სამხედრო კამპანიიდაან“ 2021 https://geocase.ge/ka/publications/353/operacia-udabnos-qarishkhali-30-tseli-gamorcheuli-samkhedro-kampaniidan

ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან. უნდა მომხდარიყო შემოწმება ყველა იმ ობიექტისა , სადაც არსებობდა ეჭვი , რომ ინახებოდა მასობრივი განადგურების იარაღი.

ერაყი არ აღმოჩნდა მზად თანამშრომლობისთვის. მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებისა და არაბული ქვეყნების ზეწოლის შემდეგ იძულებული გახდა ერაყის ხელისუფლება დათმობებზე წასულიყო , თუმცა სამუშაო სრულა შესრულებული ვერ იქნა კომიტეტის მიერ რამაც გამოიწვია ეჭვები. საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიღებული რეზოლუციები არ გამორიცხავდა სამხედრო ჩარევას. არაბული ქვეყნების პოზიცია არერთგვარი იყო , თუმცა ყველა თანხმდებოდა , რომ უნდა შენარჩუნებულიყო ერაყის ტერიტორიული მთლიანობა და ხელისუფლება საკუთარი ნებით უნდა გადამდგარიყო.[38]

რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა საუდის არაბეთი . ოფიციალურმა არ -რიადმა მკაფიოდ განაცხადა რომ ერაყი უნდა იყოს ერთიანი, თავისუფალი და დამოუკიდებელი. ამავე დროს მეფე ფაჰდმა ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებებს, რომ საუდის არაბეთი არ მიიღებდა მონაწილეობას ომში და მისი სამხედრო ძალები არ შევიდოდნენ ერაყის ტერიტორიაზე. ომი უნდა დამთავრებულიყო მასობრივი იარაღის აღმოჩენისთანავე.

2003 წლის 20 მარტს აშშ-ს, ბრიტანეთისა და ავსტრალიის კოალიციურმა ჯარებმა მოახდინეს სამხედრო ოპერაციის დაწყება ერაყში. მიზეზად კი ახლო აღმოსავლეთში ვითარების სტაბილიზაციის აუცილებლობა დასახელდა. სამხედრო ოპერაციების დროს ერაყელებს პრაქტიკულად არ გაუწევიათ წინააღმდეგობა , თუმცა ოკუპაციის შემდეგ დაიწყეს პარტიზანული მოძრაობა. ერაყელების მიერ ამერიკა აღიქმებოდა , როგორც აგრესორი, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ვერ იქნა აღმოჩენილი მასობრივი განადგურების იარაღის საწყობები.

[38] სანიკიძე გ. ,გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია თბილისი 2011 გვ 444

2005 წელს ერაყში ახალი ეტაპი იწყება. ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია . 2006 წელს გასამართლებული და სიკვდილით დასჯილი იქნა სადამ ჰუსეინი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო.

2008 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ერაყსა და ამერიკას შორის , მოიცავდა 30 პუნქტს და გაწერილი იყო ყველა ეტაი, მათ შორის ამერიკული სამხედროების ყოფნა ერაყის ტერიტორიაზე 2011 წლის ბოლომდე.

3.2 საუდის არაბეთი და ყურის თანამშრომლობის საბჭოს უსაფრთხოების პოლიტიკა

ყურის რეგიონში საერთო უსაფრთხოების მიღწევას ყურის თითოეული ქვეყანა ცდილობდა თავისი ეგიდით. იდეის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ერთიანი თავდაცვითი ბლოკის შექმნა და გაერთინება საერთო ინტერესების გარშემო. აქამდე წარმოდგენილი პროექტები ,ირანის, ომანისა თუ ერაყის , უარყოფილი იქნა ყურის დანარჩენი ქვეყნების მიერ, თუმცა თითოეული ქვეყანა აცნობიერებდა ალიანსური - რეგიონალური ერთობის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

რეგიონალური ურთიერთობების განვითარებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირანის ისლამურმა რევოლუციამ.

1981 წლის 25 მაისს საუდის არაბეთის ქალაქ არ -რიადში ექვსმა მონარქიულმა ქვეყანამ : საუდის არაბეთმა, კატარმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ომანმა, ქუვეითმა და ბაჰრენის სამეფომ დაარსა „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო“ – GCC (GULF COOPERATION COUNCIL)[39]

არაბულ სამყროში ყველაზე წარმატებულ რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენს. ორგანიზაციის საყრდენი საუდის არაბეთია თუმცა თითოეული ქვეყანა ცდილობს საკუთარი ინტერესების წინ წამოწევას რასაც მოსდევს ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს“ პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

რეგიონული ერთიანობა განიხილება, როგორც რეაქცია გარე ფაქტორებზე.უპირატესობა ენიჭება ერთიანი პოლიტიკის გატარებას და ყურადღება გამახვილებულია ძალისმიერი პოლიტიკის მნიშვნელოაზე განსაკუთრებით საერთო საფრთხის წინააღმდეგ. საერთო საფრთხედ კი ყურის ქვეყნებმა აღიქვეს -ირანი და ავტორიტარული სოლიდარობა გამოუცხადეს ერთმანეთს.

რაც შეეხება ორგანიზაციის მიზანია : წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანობის მიღწევა, მათი ურთიერთობის გაღრმავება ეკონომიკაში, განათლებასა და კულტურაში, ვაჭრობასა და საბაჟო საქმიანობაში. საბჭომ უნდა მოახდინოს წევრი ქვეყნების ურთიერთკავშირის ზრდა და საერთო რეგიონული პოლიტიკის წარმართვა. მათ უნდა შეძლონ საერთო საფრთხის აღქმა და მის წინააღმდეგ ერთიანი ქმედებების წარმართვა.

ორგანიზაციის მთავარი ორგანოა - მინისტრთა საბჭო- შეიმუშავებს კოორდინირებულ პოლიტიკას სხვადასხვა სფეროებში და იკრიბება წელიწადში

[39] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი- გეოპოლიტიკა ტ II თბილისი 2019 გვ 77-81

ერთხელ. მეორე ორგანოს წარმოადგენს -უმაღლესი საბჭო- მას ევალება მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული პროექტების განხილვა და მასში ცვლილებების შეტანა. იკრიბება სამ თვეში ერთხელ.

სამუშაო ორგანოს წარმოადგენს - გენერალური სამდივნო, შტაბ-ბინა მდებარეობს არ-რიადში, გენერალური მდივანი ირჩევა სამი წლის ვადით.

2003 წელს ხელი მოეწერა ერთიან საბაჟო ხელშეკრულებას, ერთიანი ტარიფების დაწესებით არაწევრი ქვეყნებისთვის, ხოლო წევრ ქვეყნებს შორის გაუქმდა საბაჟო გადასახადები.

2007 წელს საბჭოს წევრი ქვეყნები ფიქრობდნენ ერთიანი ვალუტის შემოღებაზე, რაზეც გარკვეული წინაღობები გაჩნდა და ვერ მოხერხდა ,რადგან ქუვეითის გარდა ორგანიზაციის დანარჩენი წევრების ეკონომიკა სრულად არის დამოკიდებული ამერიკულ დოლარზე.

2009 წელს დოჰაში გამართულ სამიტზე წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ ერთიანი ბაზრის შექმნაზე. შეთანხმების საფუძველზე საბჭოს წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შეეძლოთ მიეღოთ საბჭოს დანარჩენ ქვეყნებში დასაქმების, განათლებისა და ჯანდაცვის სრული უფლება.[40]

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია საბჭოს მიერ „ნახევარკუნძულის ფარის ძალების“ შექმნა. მასში გაერთიანებულია ექვსივე ქვეყნის სამხედო ნაწილები. მათი რიცხვის ზრდა იგეგმება 3000 მდე და წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ კოლექტიური თავდაცვის პაქტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყურის რეგიონის უსაფრთხოება და სტაბილურობა. ქვეყნებს შორის დადებულია სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარების შესახებ ხეშეკრულება . ამავე დროს თითოეული ქვეყანა იღებს პასუხისმგებლობას , რომ არ ჩაერევა დანარჩენი წევრი სახელმწიფოების საშინაო საქმეებშ და მათი მხრიდან არ მოხდება იმ პირებისა და ორგანიზაციების ფინანსური

[40] Portal access policy ,Secretariat GENERAL 2021 https://www.gcc-sg.org/en-us/Pages/default.aspx

თუ მორალური მხარდაჭერა, რომლებიც საფრთხის შემცვლელად მოისაზრებიან არაბული ქვეყნების ერთიანი უსაფრთხოებისთვის.

ერთიანი ძალების შექმნა და 2012 წლის არ-რიადის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება რეგიონული ბლოკი გადაკეთდეს ყურის კონფედერაციად ,სადაც ექვსივე ქვეყანა იქნებოდა დამოუკიდებელი და სუვერენული ყურადსაღებია, ვინაიდან გამოდის , რომ საგარეო პოლიტიკაში ყურის კონფედერაცია გარდაიქმნება ერთიან აქტორად და იგი იქნება ამ ექვსი არაბული ქვეყნის წარმომადგენელი საერთაშორისო არენაზე.

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა ამ ქვეყნებს აკავშირებთ საერთო წარსული- ყველა მათგანი წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიას ან მისი პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, სასაუბრო ენა გახლავთ არაბული, საერთო რელიგია -ისლამი, რომელიც მათი პოლიტიკის ძირითადი წარმართველი ძალაა და მოგეხსენებათ ისლამი არ ცნობს ეროვნებას. გააჩნიათ ერთნაირი მმართველობის სისტემა , არიან „ოპეკის“ წევრი ქვეყნები და დაკავშირებულები არიან საერთო პრობლემებით იქნება ეს მტკნარ წყალთან დაკავშირებული, ტერორიზმი თუ საგარეო პოლიტიკა.

საერთო ერთიანობის მიღწევისთვის დიდი ნაბიჯები იქნა გადადგმული და სწორედ ზემოთ აღნიშნული დამაკავშირებელი ფაქტორები განსაზღვრავენ ერთობას რეგიონული ინსტიტუციონალიზმის თეორიის მიხედვით.

ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო შეირაღება

საუდის არაბეთი : საბრძოლო თვითმფრინავი -305 , სატრანსპორტო თვითმფრინავი- 38 , საბრძოლო შვეულმფრენი - 89 , წყალზედა ხომალდი- 20 , არტილერია- 161 , ტანკი-833 , ქვეითთა საბრძოლო მანქანა -1850.

გასი : საბრძოლო თვითმფრინავი - 121, სატრანსპორტო თვითმფრინავი - 24, საბრძოლო შვეულმფრენი - 89, წყალზედა ხომალდი- 35 , არტილერია-165, ქვეითთა საბრძოლო მანქანა 682.

ერაყი : საბრძოლო თვითმფრინავი -48 , სატრანსპორტო თვითმფრინავი - 12, საბრძოლო შვეულმფრენი -82, წყალზედა ხომალდი -1, ტანკი- 24, ქვეითთა საბრძოლო მანქანა- 1000+.

კატარი : საბრძოლო თვითმფრინავი - 9, სატრანსპორტო თვითმფრინავი -10, საბრძოლო შვეულმფრენი - 19, წყალზედა ხომალდი -3, არტილერია- 22, ტანკი- 70, ქვეითთა საბრძოლო მანქანა -188.[41]

3.3 წინააღმდეგობა საუდის არაბეთს, ირანს, ყატარს შორის და ყურის სხვა ქვეყნების დამოკიდებულება

საგარეო პოლიტიკაში ყურის თითოეული ქვეყანა დასავლეთთან, განსაკუთრებით ამერიკასთან ახლო კავშირზე არიან ორიენტირებულნი და შესაბამისა ანტიირანულ განწყობილებას ამჟღავნებენ. თუმცა ბოლო წლებში შეიმჩნევა კატარის დამოკიდებულების გამოჩენა ირანთან , რაც იწვევს მისი ურთიერთობების გამწვავებას საუდის არაბეთთან.

ყურის ქვეყნებიდან კატარი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს და იგი მაქსიმალურად ცდილობს ლავირება მოახდინოს ორ მნიშვნელოვან სახელმწიფოს

[41] გაჩეჩილაძე.რ „ხლო აღმოსავლეთი-გეოპოლიტიკა“ ტ II , თბილისი 2019 გვ 59

ირანსა და საუდის არაბეთს შორის. კატარის პოლიტიკა გამყარებულია რეგიონში ამერიკის მთავრი სამხედრო ბაზის არსებობით ალ-აუდეილის ავიაბაზაზე.

კატარ- ირანის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები განსაზღვრავენ კიდეც მათ შორის კარგ პოლიტიკურ ურთიერთობებს. მათ შორის ხდება ყურის შელფზე არსებული უდიდესი გაზის საბადოს „სამხრეთ პარსის“ გაყოფა. ოფიციალური დოჰა ძირითად შემთხვევებში თავს იკავებს ირანის შიდა და საგარეო პოლიტიკის კრიტიკისაგან. ირანსა და კატარს შორის ჩატარებული იქნა რამდენიმე მაღლი რანგის შეხვედრა , სადაც განხილული იქნა საკითხები უსაფრთხოებასა და ეკონომიკის სფეროებში. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ყურის ომების დასრულების შემდეგ ,1991 წელს კატარის ამირა ჰამად ბინ ხალიფა მიესალმებოდა ირანის მონაწილეობას ყურის უსაფრთხოების საკითხებში , თუმცა ირანის ჩართულობა ვერ მოხერხდა ყურის ქვეყნების წინააღმდეგობის გამო.

ყატარამა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა ბაჰრეინში განვითარებული მოვლენების გამო. არ მოახდინა ირანის კრიტიკა თითქოს მისი მხრიდან ხდებოდა შიიტ ამბოხებულთა მხარდაჭერა.

კატარის ამირას მიერ გატარებული პოლიტიკით უკმაყოფილო საუდის არაბეთმა და ყურის დანარჩენმა ქვეყნებმა 2014 წელს ბრალი დასდეს კატარი ტერორისტული ორგანიზაციების მათ შორის „მუსლიმი ძმების“ დაფინანსებაში და ასევე გააკრიტიკეს ირანთან მჭიდრო ურთიერთობის გამო.[42]

მათ შორის დაპირისპირება იმდენად გამწვავდა, რომ ბაჰრეინმაა , საუდის არაბეთმა და გასმა შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები კატართან , გამოიწვიეს ელჩები კატარიდან და გამოუცხადეს პოლიტიკური და ეკონომიკური

[42] **Википедии, бесплатной энциклопедии** “ Иранско-катарские отношения https://ru.mihalicdictionary.org/wiki/Iran%E2%80%93Qatar_relations

ბლოკადა. ბაჰრეინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით კატარის დიპლომატთა კორპუს ეძლეოდა 48 სთ ბაჰრეინის ტერიტორიის დასატოვებლად. ასევე ბაჰრეინისგან წამოვიდა მოწოდება შეეჩერებინათ კატარისთვის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრობა. [43]

მიუხედავად ყურის ქვეყნების ასეთი ნაბიჯისა, ყატარმა ღიად დაგმო 2016 წელს ირანში საუდის არაბეთის საელჩოზე თავდასხმა და აღნიშნული ფაქტი მიუღებლად გამოაცხადა საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და გამოიწვია ელჩი თეირანიდან, თუმცა აღნიშნულმა ფაქტმა ვერ შეამსუბუქა კატარის მდგომარეობა. ბლოკადამ იგი მძიმე ვითარებაში ჩააგდო, ვინაიდანმკვეთრადაა დამოკიდებული სურსათის იმპორტზე . თუმცა აქვე უნდა ავღნიშნო ირანის პოზიცია, ოფიციალური თეირანი დიალოგისკენ მოუწოდებდა ყურის ქვეყნებს კატართან და ამავე დროს სთავაზობდა კატარს სრულ დახმარებას, თეირანმა გახსნა თავისი საჰაერო სივრცე კატარის ავიაღაზებისთვის და ყოველდღიურად ახდენდა სურსთის მიწოდებას კატარის მოსახლეობისთვის. 2017 წლის 23 აგვისტოს კატარის ამირამ გააკეთა განაცხადი საელჩოს კვლავ გახსნის შესახებ თეირანში. რასაც მოჰყვა კიდეც ყრის ქვეყნების მიერ საჰაერო , საზღვაო და სახმელეთო სივრცეების დახურვა. [44]

კატარის მიერ გავრცელებული ინფორმაციით იგი მსხვერპლი აღმოჩნდა ინფორმაცული ომის. ჰაკერული თავდასხმების შედეგად კატარის ოფიციალ სახელმწიფო საიტებზე გავრცელებული ინფორმაციით იგი მხარს უჭერდა ფინანსურად რადიკალურ ისლამისტურ ორგანიზაციებს „მუსლიმ ძმებს“ , „ჰამას“ და ირანს „ისლამური სამყაროს ღერძად“ მოიხსენიებდა. ოფიციალური კატარის

---

[43] **Кепински** О. “Аравийские монархии сняли блокаду Катара “ 2021 https://ru.euronews.com/2021/01/05/ru-saudia-arabia-and-qatar-agreement

[44] **Кепински** О. “Аравийские монархии сняли блокаду Катара “ 2021 https://ru.euronews.com/2021/01/05/ru-saudia-arabia-and-qatar-agreement

განცხადებით ყურის ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და ეყრდნობა ცრუ ფაქტებს.

ქუვეითი ასრულებდა შუამავლის როლს კატარსა და დანარჩენ ყურის ქვეყნებს შორის . წარდგენილი იქნა ყურის თანამშრომლობის საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტი , რომელიც 13 პუნქტისგა შედგებდა.

კატარისგან მოითხოვდნენ:

-ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ დახურვას

-დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას ირანთან

-სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტას თურქეთთან და თურქული სამხედრო ბაზის გაუქმებას ყატარის ტერიტორიაზე.

ყატარის პოზიცია მდგომარეობდა შემდგომში:

მზად იყო მოლაპარაკებების საწარმოებლად ყურის ქვეყნებთან თუ მათ მიერ წარმოდგენილი ბრალდებები გამყარებული იქნებოდა შესაბამისი არგუმენტებით. აღნიშნული მოთხოვნები კი შეფასებული იქნა , როგორც შეუსრულებელი და რეალობას მოკლებული. რადგან არსებული ვითარება პირდაპირ ნიშნავს კატარის დამოუკიდებელ პოლიტიკაში ჩარევას. საუდის არაბეთის პოზიცია კი უცვლელი დარჩა. ბოიკოტი გაგრძელდებოდა იქამდე სანამ კატარი არ მოახდენდა თავისი საგარეო პოლიტიკის ცვლილებას.

თუმცა აქტიური მოლაპარაკებებისა და საერთო არაბული სტაბილურობის მიღწევის გამო, 2021 წლის იანვრის დასაწყისში ყურის ქვეყნებმა განაცხადეს მზადყოფნა დიპლომატიური ბლოკადის მოხსნის შესახებ და გაუხსნეს საზღვრები კატარს. ქუვეითმა , ბაჰრეინმა, გასმა, საუდის არაბეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კატართან კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

ყურის ორი ძლიერი ქვეყნის -ირანის ისლამური რესპუბლიკისა და საუდის არაბეთის ურთიერთობები 2021 წლის დასაწყისიდან თანდათან სტაბილურდება. ამ ორი ქვეყნის მაღალი რანგის დიპლომატებმა შეხვედრები გამართეს როგორც არ-რიადში , ისე თეირანში. ეს იმაზე მეტყველებს , რომ ირან-საუდის არაბეთს შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებული ცივი ურთიერთობა, რომლესაც ამ ორ ქვეყნებს შორის „ცივ ომსაც“ [45]კი უწოდებენ ნელ -ნელა დასასრულს უახლოვდება.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საუდის არაბეთსა და ირანს შორის ურთიერთობის დაძაბვის ერთ- ერთი მიზეზი აშშ-სთან და ამავე დროს აშშ-სადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებაა, აქვე ავღნიშნავ, რომ ამ მხრივაც ვითარება საგრძნობად იცვლება . ირანსა და ექვს ქვეყანას შორის (მათ შორის აშშ) ისევ გრძელდება ინტენსიურად მოლაპარაკებები 2015 წლის ბირთვული შეთანხმების ფორმატში დასაბრუნებლად. ეს რათქმაუნდა ვფიქრობ, რომ დადებითად აისახება ირანისა და საუდის არაბეთის ურთიერთობებზე. [46]

ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით , აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს საინტერესო ფაქტორი. უნდა აღინიშნოს , რომ აშშ-ს , ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ინტენსიურად ხდებოდა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების დათბობის პროცესი , რომლის მიზანი იყო , რაც შეიძლება მეტ არაბულ ქვეყანას დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან[47]. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს , რომ ის გარემოება ,

---

[45] კაპანაძე მ. დაპირისპირება საუდის არაბეთსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთში „ პოლიტო/ ლოგოს“ # 2 თბილისი 2020 გვ 335

[46] სიგუა შ, ნიკოლეიშვილი ლ. ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნების პოზიცია ისრაელ-ბაჰრეინისა და გას-ისრაელს შორის. „საქრთველო -ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მე-4 და მე-5 საერთაშორისო სამეცნიერი კონფერენციების შრომები“ თბილისი 2021 გვ 513

[47] პეტრიაშვილი ა. ისრაელი-არაბული სამყარო: 4-ში 4 2021 //forbes.ge

რომ აშშ-ს მაშინდელი ადმინისტრაცია აქტიურობდა ყურის ქვეყნებთან მიმართებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ისრაელ-ბაჰრეინის და ისრაელ-გას-ს შორის. ამ ორმა ყურის ქვეყანამ გასული წლის ოქტომბერში დადო თანამშრომლობის შეთანხმება ისრაელთან, რასაც სერიოზული კრიტიკა მოჰყა ყურის დანარჩენი ქვეყნებიდან , ასევე სხვა მუსლიმური სახელმწიფოებისგან.

ისიც უნდა აღინიშნოს , რომ ურთიერთობების დათბობის გარკვეული კონტურები მოიხაზა ყურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყანასთან საუდის არაბეთსა და ისრაელს შორის. აქვე ხაზგასმით მინდა ავღნიშნო , რომ საუდის არაბეთს მთლიანად ისლამური სამყაროსთვის აქვს სერიოზული დატვირთვა , რადგანაც მუსლიმთა პირველი და მეორე წმინდა ქალაქები მედა და მედინა საუდის არაბეთშია. მუსლიმების მესამე წმინდა ქალაქზე იერუსალიმზე კი პრეტენზიას აცხადებენ , როგრც ებრაელები , ასევე მუსლიმები. ისრაელის მიერ აშშ-ს მხარდაჭერით იერუსალიმის ისრაელს დედაქალაქად გამოცხადება არც თუ სასურველია საუდის არაბეთისთვის. მოკლედ შევნიშნავ , რომ ისრაელსა და ყურის ქვეყნებს აღნიშნულ ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება არ მომხდარა.

დასკვნა

საუდის არაბეთმა სახელმწიფო ჩამოყალიბებამდე საკმაოდ რთული გზა გაიარა. ამ სირთულეების მიუხედავად შეიქმნა რეგიონულ ერთ-ერთ სახელმწიფოდ , რომელიც

დღემდე აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენს,სადაც უმთავრესი კანონი კვლავ ყურანი და შარიათია.

საუდის არაბეთში სახელმწიფო რელიგიად დამოუკიდებლობამდე დღემდე ვაჰაბიზმია,რომელიც სუნიტური ისლამის ერთ-ერთი სერიოზული მიმდინარეობაა. ეს მიმდინარეობა ისლამში იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სადაც დღევანდელი საუდის არაბეთია. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ვაჰაბიზმი საკმაოდ განსხვავდება სუნიტურ ისლამში არსებული სხვა მიმდინარეობებისგან. აქედან გამომდინარე ის სერიოზულ გავლენას ახდენს საუდის არაბეთის სახელმწიფო პოლიტიკაზე, როგორც ქვეყნის შეიგნით , ისე მის ფარგლებს გარეთაც. აქვე ავღნიშნავ , რომ ვაჰაბიზმა პოზიტიური როლი შეასრულა ამ ქვეყნის ცენტრალიზაციისთვის. დღემდე საუდიანთა სამეფო ამ მიმდინარეობის ერთგულ ამღიარებლად რჩება.

საუდის არაბეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებიდან დღემდე აბსოლუტური მონარქიაა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო წყობილება უცხო არ არის სხვა ყურის ქვეყნებისთვისაც. ბევრ მათგანში აბსოლუტური მონარქიაა. თუმცა საუდს არაბეთი განსხვავებული იყო ტახტის მემკვიდრის საკითხით, ამ წესის შეცვლა განაპირობა დიდმა გეოპოლიტიკურმა მოთამაშეებმა ,კონკრეტულად აშშ -ს აქტიურმა ჩარევამ. მიუხედავად ამისა ქვეყნისთვის სხვა სერიოზული პრობლემები დარჩა- კონსტიტუცია ქვეყანაში ჯვლავ შარიათი და ყურანია გარკვეული რეფორმების გატარების მიუხედავად. შესაბამისად ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, რადგან მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია გარკვეული რეფორმები. ამ ეტაპზე სერიოზული ცვლილებბეი არ შეიმჩნევა ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ქვეყანაში არსებული ულემთა საბჭო მართავს ქვეყნის საშინაო,ისე საგარეო პოლიტიკურ კურსს.

საუდის არაბეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის იმ ერთ-ერთ ქვეყანათაგანია, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ლიდერობაზე. ამის ერთ-ერთ მიზეზად მისაჩნევია,

რომ ამ ქვეყანაშია მუსლიმთა უმთავრესი სიწმინდეები განლაგებული. ამავე დროს ამ ამბიციას ის ფაქტორიც უწყობს ხელს , რომ ტერიტორია მოცულობითია, ასევე აქვს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგი. ასევე საუდის არაბეთი გარკვეულწილად ყოველთვის ერთვეოდა რეგიონში არსებულ რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში. მისი ინტერესებიდან გამომდინარე აქვე ხაზგასასმელია გარემოება , რომ საუდის არაბეთი ერთ-ერთ აქტიურ და მნიშვნელოვანი ორგანიზაციის „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს“ გადაწყვეტილებების მიმღები წევრია.

ყურის უსაფრთხოების საბჭო ერთ-ერთ ქმედითუნარიანი ორგანიზაციაა მთეელ ახლო აღმოსავლეთში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების ნორმების განმტკიცება. აღნიშნული ორგანიზაცია შეიქმან ირან-ერაყის ომის დროს და დღემდე თავისი პრინციპის ერთგული რჩება და ინარჩუნებს ძალთა ბალანს ყურის ქვეყნებთან მიმართებაში. აღნიშნული ორგანზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქმედითუნარიანია. ეს ორგანიზაცია არ იძლევა იმის საბაბს , რომ მის საქმიანობაში თუ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებში ჩაერიოს რომელიმე ქვეყანა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია.

იქიდან გამომდინარე, რომ საუდის არაბეთი ცდილობს, რომ იყოს მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თუ არა ყურის ქვეყნებში ერთ-ერთ ლიდერი , მას სერიოზული წინააღმდეგობები აქვს ყურის დანარჩენ ქვეყნებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია დიდი ხნის პრობლემა ყურის უმნიშვნელოვანეს ქვეყანასთან ირანთან. მათ შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ ირანის ისლამური რევოლუციის დროს დაიძაბა. მათ შორის არსებულ ვითარებას „ცივ ომსაც“უწოდებენ. ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს არა საკუთარ ტერიტორიაზე , არამედ დანარჩენ არაბულ სამყაროში ცდილობენ საკუთარი გავლენის სფეროების გაზრდას. ამ მხრივ თვალშისაცემია იემენის პოლიტიკური კრიზისი. საუდის არაბეთი სერიოზულ გავლენას ახდენს საბჭოზე და მისი მეშვეობით ცდილობს დანარჩენ ყურის ქვეყნებს „მიაღებინოს“ ის გადაწყვეტილებები რაც მისი ქვეყნის ინტერესებში შედის.

ერთ- ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საუდის არაბეთი და ტერორიზმი. ფაქტია, რომ ბევრი ტერორისტის სამშობლოა საუდის არაბეთი. თუმცა საუდის არაბეთისთვის , ისევე, როგორც დანარჩენი ყურის ქვეყნებისთვის ტერორიზმი განსაკუთრებით კი XXI საუკუნის დასაწყისიდან სერიოზულ პრობლემად იქცა. ხშირი შემთხვევაში ყურის ქვეყნები ერთმანეთს ადანაშაულებენ ტერორიზმის დაფინანსებასა და ხელშეწყობაში , რაც ასახვას ჰპოვებს მათ შორის ურთიერთობებზე.

ძალზედ საინტერესოა საუდის არაბეთის ჩართულობა ყურის ქვეყნების ომებში. ამ ომებში საუდის არაბეთი საკმაოდ პრაგმატულ პოლიტიკას ატარებდა და მოქმედებდა ისე, როგორც მისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. საუდის არაბეთმა ერთ-ერთ ყურის ომში არაბული სამყაროს ინტერესებიდან გამომდინარე დაუთმო თავისი ტერიტორია , რომელსაც საუდის არაბეთი ისლამის წმინდა მიწად მიიჩნევდა . საუდის არაბეთისთვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმაოდგენს შემდგომი ფაქტი, იგი ცდილობდა მაშინაც და დღესაც ცდილობს არ დაუშვას ყურის რომელიმე ქვეყნის გაძლიერება და ის ირჩევდა შუალედურ პოლიტიკას გადაწყვეტილებების მიღებისას, რომ შეენარჩუნებინა სტაბილურობა რეგიონში.

აქვე უნდა ავღნიშნო , რომ სწორედ ირანისა და საუდის არაბეთის ჩარტულობის გამო გაჭინაურდა იემენის სამოქალაქო ომი, რადგან ისინი ცდილობენ საკუთარი ძალების დემონსტრაციას რაც მთლიანობაში ისახება რეგიონის უსაფრთხოებაში უარყოფითად.

ირან -საუდის არაბეთის „დაძაბული ურთიერთობის“ ერთ- ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მათ შორის წინააღმდეგობა კატართან მიმართებაში.

აქვე მინდა ავღნიშნო , რომ როგორც ირანი , ასევე საუდის არაბეთი მიუხედავად მათ შორის არასტაბილური ურთიერთობებისა გამოირჩევიან პრაგმატული პოლიტიკით. ბოლო პერიოდში სერიოზული კონტურები მოიხაზა საუდ არაბეთსა და ირანს შორის ურთიერთობების დათბობისთვის. ამ ქვეყნების ლიდერებმა

არაერთი შეხვედრა გამართეს და ამ შეხვედრების ფონზე მოჰყვა კატართან ურთიერთობების აღდგენა.

მიუხედავად არსებული კონფლიქტებისა, რელიგიის გავლენისა პოლიტიკურ საკითხებზე, ხშირად ყურის ქვეყნების მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებულია რელიგიური ფასადს მიღმა , რომელიც მიმართულია ზოგჯერ სწორი ,ზოგჯერ კი არასწორად აღმული საფრთხეების მიმართ ,რასაც საბოლოოდ მიჰყავს რეგიონი არასტაბილურობამდე. თუმცა შეიმჩნევა ყურის რეგიონის საერთო უსაფრთხოების საკითხისადმი ერთიანობის გაღვივება , საბჭოს კონფედერაციად გარდაქმნა კი ამ აზრის გამყარების ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს. საგარეო პოლიტიკაში ერთიან აქტორად გამოჩენა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს რეგიონის ერთიანობასა და უსაფრთხოებაში, აქვე არუნდა დაგვავიწყდეს „ნახევარკუნძულის ფარის ძალების“ შექმნა და მისი სამხედრო ძალის ზრდა. საუდის არაბეთს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონის ერთიანობაში თუ მეტ- ნაკლებად შეძლებს შიდა პოლიტიკური რეფორმების გატარებას რაც შეიმჩნევა კიდეც , საუდიანთა სამეფოს უნდა ესმოდეს, რომ რიგ საკითხებში საკუთარი ამბიციები უკან უნდა წაიღოს რეგიონის ერთიანობისთვის და „ჭკვიანი ძალის“ დახმარებით ხაზი გაუსვას მის როლს როგორც რეგიონის საყრდენისას.

კვლევის შედეგად დასტუედება : საუდის არაბეთი წარმოადგენს იმ ისლამურ ქვეყანას, რომლის პოლიტიკური ამბიციები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ლიდერობაზე გადის. აქ არის განლაგებული ისლამის უმთავრესი რელიგიური სიწმინდეები. თუმცა დაპირისპირებები ისლამურ მიმდინარეობებში (სუნიტებსა და შიიტებს შორის) მკვეთრ გავლენას ახდენს საუდის არაბეთის რეგიონულ პოლიტიკაზე ყურის ქვეყნებთან მიმართებაში.

საუდის არაბეთს შეუძლია ეფექტურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაცია და კონკურენცია გაუწიოს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მასზე წინ მყოფ სახელმწიფოებს ყურის რეგიონში და ამავე დროს შეეცადოს გარკვეული სამხედრო -პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ბიბლიოგრაფია

1. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი ტ I თბილისი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2018
2. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი- გეოპოლიტიკა ტ II თბილისი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2019
3. გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი , უნივერსალი 2008
4. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი თბილისი 1999
5. კაპანაძე მ. დაპირისპირება საუდის არაბეთსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში პოლიტო/ლოგოს #2 თბილისი 2020

6 რობაქიძე გ. იემენი: სამოქალაქო ომი შორს მიმავალი შედეგები „პოლიტო/ლოგოს #2 თბილისი 2020

7 სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან თბილისი 2011

8 სიგუა შ, ნიკოლეიშვილი ლ. ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნების პოზიცია ისრაელ-ბაჰრეინისა და გას-ისრაელს შორის. „საქართველო -ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მე-4 და მე-5 საერთაშორისო სამეცნიერი კონფერენციების შრომები“ თბილისი 2021

9 ანთაძე გ. - „უდაბნოს ქარიშხალი - 30 წელი გამორჩეული სამხედრო კამპანიიდაან“ 2021 (03.02.2021) https://geocase.ge/ka/publications/353/operacia-udabnos-qarishkhali-30-tseli-gamorcheuli-samkhedro-kampaniidan

10 ინტერპრესნიუსი, „საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცმა ხაშოგის მკვლელობას ამაზრზენი დანაშაული უწოდა“ 2018 (ბოლოს გადამოწმებულია 11.06.2021) https://www.interpressnews.ge/ka/article/517945-saudis-arabetis-memkvidre-princma-xashogis-mkvlelobas-amazrzeni-danashauli-ucoda

11 თედიაშვილი თ. „ ბოლო დროს მიღებული კანონები ქალთა უფლებების შესახებ საუდის არაბეთში“ 2021 (11.02.2021) http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/135644/

12 ANDERSON ,STANSFIELS .2004.60 https://en.mehrnews.com/news/137124/Iran-

13 GRAIG UNGER HOUSE of BUSH HOUSE of SAUD THE HIDDEN RELATIONSHIP BETWEEN THE WORLD'S TWO MOST POWERFUL DYNASTIES 2004

14 J.E. Peterson Saudi Arabia ang the Illusion of Security The International Institute for strategic Studies 2002

15 Long, D.E. The kingdom of Saudi Arabia University center for strategic and international studies , 1976

16 Rasheed M ,2002 A History of Saudi Arabia

17 Thomas HEGGHAMMER Jihad in Saudi Arabia violence and pan-Islamism since 1979 CAMBRIDGE 2010

18 Secretariat General of the Gulf Cooperation Council , GCC 2021 https://www.gcc-sg.org/

19 ZEIDAN ADAM , the article -GCC, Gulf States , https://www.britannica.com/topic/Gulf-Cooperation-Council

20 Владимир Юрченко „Саудовская Аравия: проблемы противодействия терроризму и исламскому экстремизму 2021 (Последние обновления 21.06.2021) http://www.lib.csu.ru/ER/ER_SPSAS/fulltexts/YurchenkoV_SAr.html

21 ХАЛЕД ИБН СУЛТАН „ Воин пустыни“ 1996

22 **Ольга Кепински** Аравийские монархии сняли блокаду Катара (Последние обновления: 05/01/2021) https://ru.euronews.com/2021/01/05/ru-saudia-arabia-and-qatar-agreement